

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაციონალიზმის და ეთნიკურობის კვლევები

თამთა კოღუა

„კოსოვოს კონფლიქტის ნაციონალისტური ძირები“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმის და ეთნიკურობის
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი პროფ.: ზურაბ დავითაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

კოსოვოს კონფლიქტი მეტად საინტერესო და აქტუალური თემაა, როგორც წმინდა სამართლებრივი, ისე ისტორიული და გეოპოლიტიკური ასპექტების თვალსაზრისით.

ნაშრომი ეხება კოსოვოს კონფლიქტის ანალიზს, კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს კითხვას: რა როლი ითამაშა ნაციონალიზმა კოსოვოს კონფლიქტში?

ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის მიხედვით კოსოვოს კონფლიქტი განაპირობა სერბებსა და კოსოვარებს შორის წარსულზე დამოკიდებულების პროცესმა, სერბული და კოსოვარული ნაციონალიზმის შეუთავსებლობამ.

თემის მთავარი მიზანია ერთიანი ნაშრომის სახით გადმოვცეთ კოსოვოს კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების ანალიზი, როგორია იგი დღესდღეობით.

ლიტერატურის მიმოხილვა: ნებისმიერ თემაზე მუშაობისას უმნიშვნელოვანესი საფეხურია კვლევისთვის საჭირო მასალების მოძიება. ეს იყო პროცესი, რომელიც კვლევის დასაწყისიდან მის დასრულებამდე პარალელურ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. მუდმივად ხდებოდა სხვა ინფორმაციის აღმოჩენა, წაკითხვა, მისი გაანალიზება და შემდგომ თემებში გამოყენება.

მეთოდოლოგია: არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა; case study რომელიც დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში; თვისებრივი კვლევის მეთოდები: მონაცემთა ანალიზი, ისტორიულ-აღწერილობითი; პოლიტიკის კვლევის ანალიზი, კონტენტ ანალიზი.

Annotation

The Kosovo conflict is mostly interesting and actual topic, as legal as historical and geopolitical aspects of view.

The work deal with the Kosovo conflict analyses and focuses on replying the question: what role was played by nationalism due to Kosovo conflict.

Accordin the hypothesis given in the work, the Kosovo conflict was caused by the process of the past dependence between Serbian and Kosovians and incombatability of Serbian and Kosovian Nationalism.

The main goal of the topic is to represent in whole the analyses of Kosovo conflict reasons and results.

Literature review: Working on any kind of topic the most important step is the search of necessary materials. This was the process going on in a paralell made from the beginning to the end of the research. Different konds of information were discovered, read, analysed, and used in topic permanently.

Methodology: Available theoretical material discussion, analyses and conclusion. Case study will help in real facts better analyses.

Qualitative research methods, data, historial discriptive, political research and content analyses.

სარჩევი

შესავალი	5
1. კოსოვოს კონფლიქტის ისტორიული წანამძღვრები.....	11
1.1. კოსოვოს ისტორიული განვითარების თავისებურებები	11
1.2. კოსოვო ოსმალეთის შემადგენლობაში.....	15
1.3. კოსოვო იუგოსლავიის შემადგენლობაში.....	19
2. კოსოვარული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და განვითარება	24
3. კოსოვოს კონფლიქტის მიზეზები და თავისებურებები	28
3.1. იუგოსლავიის დაშლა და კონფლიქტები ხორვატიასა და ბოსნია ჰერცეგოვინაში.....	28
3.2. სერბული და კოსოვარული ნაციონალიზმის შეუთავსებლობა.....	35
3.3. კონფლიქტის ესკალაცია.....	39
3.4. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და მისი შედეგები	44
4. კონფლიქტის შემდგომი კოსოვო	48
4.1. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და აღიარება.	48
4.2. სერბეთის რეაქცია კოსოვოს აღიარებაზე და თანამედროვე პოზიცია	49
4.3. კოსოვოს პრეცედენტი: შედარება აფხაზეთის კონფლიქტთან.....	51
დასკვნა.....	59
გამოყენებული ლიტერატურა:.....	61

შესავალი

კოსოვოს კონფლიქტი მეტად აქტუალური თემაა, როგორც წმინდა სამართლებრივი, ისე ისტორიული და გეოპოლიტიკური ასპექტების თვალსაზრისით. მოცემული საკითხი აქტუალურია იქიდან გამომდინარე რომ დღეისათვის არსებობს მრავალი კონფლიქტური რეგიონი, მათ შორის ჩვენს სამშობლოს-საქართველოსაც აქვს ორი კონფლიქტური რეგიონი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. კოსოვოს კონფლიქტს კი ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ კონფლიქტებთან, მათი შედარება და დასკვნების გამოტანაც შეიძლება.

გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე კოსოვოს კონფლიქტის ანალიზი ერთ-ერთი საკვანძო საკითხია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის საქმეში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ნატოს ჩართულობა კი მოგვცემს საშუალებას უკეთ გავერკვეთ თანამშრომლობითი უსაფრთხოების მნიშვნელობაში და როლში გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმატში.

კოსოვოს კონფლიქტმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევებით, მოსახლეობის ფართომასშტაბიანი დეპორტაციებითა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენის ფაქტებით. კოსოვოს კონფლიქტის მიმდინარეობისას წინა პლანზე იქნა წამოწეული კოსოვოელი ალბანელების თვითგამორკვევის უფლების საკითხი, მოთხოვნები ავტონომიური მმართველობიდან სრული დამოუკიდებლობის მისაღებად.

კოსოვოს კონფლიქტის დაწყებისთანავე ნათელი იყო რომ ეს არ იყო უბრალოდ შეიარაღებული კონფლიქტი, ან უბრალოდ ეთნიკური კონფლიქტი ან უბრალოდ ადამიანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სიტუაცია, თუნდაც ისეთი რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას დაემუქრებოდა, ეს იყო და არის სიტუაცია, რომლის ერთ-ერთი მხარე მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოსგან გამოყოფას ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი დარღვევის ხარჯზე. ალბანელი სეპარატისტები დასაწყისიდანვე კოსოვოს მხარის დამოუკიდებლობის საკითხში უკომპრომისო პოზიციაზე იდგნენ და შემდგომ მოლაპარაკებებშიც ეს დასტურდებოდა. დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ კონფლიქტზე რეაგირების ფონზე წინა პლანზე გამოვიდა

ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხი და ტერიტორიული საკითხები უკანა პლანზე დარჩა. კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირებაც პირველ რიგში ადამიანის უფლებათა კუთხით რჩებოდა. თუმცა ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე რადგან ტერიტორიული საკითხი არ გამქრალა არც დიდი სახელმწიფოების, არც საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგიდან. ამას ადასტურებს თუნდაც ბოლო ხანებში კოსოვოსა და სერბეთს შორის ურთიერთობის დამაბზა შეიარაღებული თავდასხმების გახშირებით. შეიძლება ითქვას რომ არ არსებობს ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი მოვლენები, არსებობს ზოგადად მოვლენები, რომელშიც ორივე მათგანი შეიძლება სხვადასხვა დოზით იყოს წარმოდგენილი, უპირატესობა კი სწორედ იმაში მდგომარეობს თუ რამდენად შესძლებს უარყოფითის თავიდან აცილებას და დადებითით სარგებლობას.

ნაშრომი ეხება კოსოვოს კონფლიქტის ანალიზს, კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს კითხვებს-რა ფაქტორებმა განაპირობეს კონფლიქტი, რა იყო კონფლიქტის წინამძღვრები, როგორ ხდებოდა კოსოვარული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება, სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და დამოუკიდებლობის მოპოვება.

ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის მიხედვით კოსოვოს კონფლიქტი განაპირობა სერბებსა და კოსოვარებს შორის წარსულზე დამოუკიდებულების პროცესმა, სერბული და კოსოვარული ნაციონალიზმის შეუთავსებლობამ.

თემის მთავარი მიზანია ერთიანი ნაშრომის სახით გადმოვცეთ კოსოვოს კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების ანალიზი, როგორია იგი დღესდღეობით.

მეთოდოლოგია-თემაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი აპრობირებული გზა, როგორც არის კვლევის თვისებრივი მეთოდი და მისი შემადგენელი ნაწილები:

1. საჭირო მასალის მოძებნა
2. მოძიებული მასალის შესწავლა, აღწერა

კვლევის ტექნიკურ-მეთოდოლოგიური მხარე ძირითადად ეყრდნობა მეორადი წყაროების ანალიზს, საგაზეთო სტატიებს, სხვადასხვა მოხსენებებსა და ნაშრომებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფუნქცია და ფასეულობა კვლევის ძირითადი ვარაუდის და ჰიპოთეზის თანმიმდევრულ ანალიზში.

თეორიული ბაზა-კოსოვოს ომი შეგვიძლია ავხსნათ კონსტრუქტივისტული მიდგომით. კონსტრუქტივიზმი გახდა მეტად მიმზიდველი თეორია საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. განვიხილავთ ქრონოლოგიურ აღწერას კოსოვოს კონფლიქტისას, რამ წარმოქმნა იგი და როგორ შეიძლება კონფლიქტის დაძლევა.

ბალკანელების ისტორია არის განსაკუთრებით მრავალფეროვანი. კოსოვოს ომი დაიწყო მაშინ როდესაც ეთნიკურმა სერბებმა დაარტყეს კოსოვოელ ალბანელებს, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ეთნიკური წმენდა. კოსოვოს ომი ამავდროულად იყო დაპირისპირება სერბეთის რესპუბლიკასა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის, ომი დასრულდა სერბეთის კაპიტულაციით ნატოს საჰაერო კამპანიის შედეგად 1999 წლის ივნისში. როგორც უკვე აღვნიშნეთ კოსოვოს ომი იყო დაპირისპირება სერბებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის. ნატომ კი გადაწყვიტა რომ მიეღწიათ კონსენსუსისთვის. როგორც ვხედავთ კონსტრუქტივიზმი გვეხმარება ავხსნათ ნატოს ჩართულობა კონფლიქტში, კონფლიქტის მოგვარებაში და ინტერნაციონალიზაციაში.

- ძირითადი იდეური ელემენტები, რომლებსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან არის ის რწმენები, იდეები, ნორმები, კონცეფციები, მოსაზრებები, რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ. - ნატო გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსის საფუძველზე. ნატოს მე-7 მუხლი-ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, თავისუფალი აზრის, რელიგიის და რწმენის პატივისცემა, მე-8 მუხლი- თანაბარი უფლებები და თვითგამორკვევა. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოში შეჭრა ეწინააღმდეგებოდა საბერძნეთის და ესპანეთის ეროვნულ ინტერესებს მათ გადაწყვეტილება მიიღეს თავიანი კოლექტიური იდენტობის საფუძველზე.
- არ აინტერესებთ მატერიალური მოცემულობები, არამედ მათი სოციალური აღქმა- აშშ-სა და ზოგადად ნატოსთვის სერბეთი შეიარაღების თვალსაზრისით არ წარმოადგენდა საფრთხეს და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ნატოს და აშშ-ს სამხედრო სიძლიერით.

- **ისტორიული კონტექსტის მნიშვნელობა** - სერბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1389 წელს კოსოვოს ველზე გამართულ ბრძოლას სერბებსა და ოსმალების იმპერიას შორის
- სახელმწიფოს ქცევა განისაზღვრება **ელიტური ნაწილის რწმენების** და კოლექტიური იდენტურობის საფუძველზე (მილოშევიჩის გადაწყვეტილება ავტონომიის გაუქმების თაობაზე, პარლამენტისგან თანხმობის გარეშე „არკანის“ გაგზავნა კოსოვოში)
- **იდენტობის, კულტურის ელემენტების, რელიგიის მნიშვნელობა**- სერბებსა და კოსოვოელებს ჰქონდათ განსხვავებული კულტურული და რელიგიური იდენტობა, კოსოვოელების აზრით, სერბები საფრთხეს უქმნიდნენ მათ იდენტობას, სერბებს, თავის მხრივ, აშინებდათ კოსოვოში დემოგრაფიული სიტუაცია (Labarre.F.2007 Et al.)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Drapac.V. (2010) “Constructing Yugoslavia a transnational history”- Red Globe Press. - ავტორი ამ ნაშრომში გვაწვდის აღწერას თუ როგორ იცვლებოდა იუგოსლავიის იდეალები, თუ როგორ ჩამოყალიბდა იგი. მოიცავს პერიოდს 1850 წლიდან, ტიტოს გარდაცვალებამდე 1980 წლამდე. იუგოსლავიის ისტორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის მე-19 მე-20 საუკუნეების განვითარებისთვის. იუგოსლავიას სურდა გაძლიერება და სუპერ ძალის დაუფლება. ტექსტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის ვისაც სურს გაეცნოს იუგოსლავიის ისტორიას.

2. Lampe J. (1996) “Yugoslavia as history, twice there was a country”- Cmbridge University Press.-იუგოსლავია როგორც ისტორია, პირველი წიგნია, რომელიც გადმოგვცემს იუგოსლავიის სისხლიან დაშლას, და მთელს მის ისტორიას. მთლიანად წიგნი მიძღვნილია რომ განიხილონ ტრაგიკული ეთნიკური ომი, რომელსაც მოჰყვა იუგოსლავიის დაშლა, პირველად ხორვატიასა და ბოსნიაში, ხოლო ყველაზე გვიან კი კოსოვოში. ავტორი მიუთითებს ამ კონფლიქტების სიმწვავეზე და იმ გამოცდილებაზე რომელიც მისმა მემკვიდრე სახელმწიფოებმა მიიღეს.

3. Sell. L. (2002) “Slobodan Milosevic and the destruction of Yugoslavia”- Duke University press-ავტორი ამ წიგნში მიუთითებს იუგოსლავიის კონფლიქტზე, განვითარებულს

სლოვენიასა და ხორვატიაში 1991 წელს, ბოსნიაში 1992-1995 წლებში და კოსოვოში 1998-1999 წლებში. ასევე ავტორი ყურადღებას ამახვილებს მილოშევიჩის კარიერასა და პოპულარულობაზე. ავტორმა Louis Sell-მა გაატარა დიპლომატიური კარიერა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, რომელიც შეიცავდა 8 წელს იუგოსლავიაში, მოწმე იყო იუგოსლავიის დაშლისა და იმ არეულობებისა რაც ქვეყანაში ხდებოდა. ავტორმა დეტალურად აღწერა მილოშევიჩის პასუხისმგებლობა ომთან დაკავშირებით, და ასევე ხაზს უსვამდა მის განსაკუთრებულ პიროვნულ ნიშან-თვისებებს.

4. Malcolm. N.(1998) “ Kosovo: A short history”- Univeristy press New York - ნოელ მალკოლმის წიგნი არის შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც წარმოგვიდგენს ბალკანეთის ისტორიას. კოსოვო-მოკლე ისტორია, წარმოგვიდგენს კონფლიქტს სერბებსა და ალბანელებს შორის, რომელიც ნაკლებად იყო დაკავშირებული რელიგიასთან და უფრო მეტად ისტორიასთან და განსხვავებულ ფესვებთან. ავტორი კარგ დახმარებას გაუწევს ნებისმიერს ვისაც სურს რომ გაიგოს რეგიონში მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

5. Judah.T.(2008)” Kosovo: What everyone needs to know”- Oxford University Press.

ტიმ ჯუდაჰმა გაატარა ერთი წელი ამ რეგიონში, ცდილობდა რომ პასუხი გაეცა შეკითხვებისთვის, რატომ არის კოსოვო მნიშვნელოვანი? ვინ არიან ალბანელები? ვინ არიან სერბები? რატომ არის კოსოვო მნიშვნელოვანი სერბეთისთვის? ყველაზე მთავარი ხომ არის თვით-იდენტიფიკაცია, სერბების უმეტესობისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო დიდი ტრამვა, რომელიც მათ ეროვნულ სიამაყეს ამცირებდა.

6. Judah. T.(2000) “Kosovo: War and revenge”- Yale Universit Press.

ეს წიგნი აგვიღწერს იმ მძიმე განსაცდელს რომელიც მე-20 საუკუნეში მომხდარ ეთნიკურ კონფლიქტს მოჰყვა. დაწერილი არის ტიმ ჯუდაჰის მიერ, რომელიც მოწმე იყო ბალკანური ტრაგედიისა და მისი შემდგომი მოვლენებისა, წიგნი ასევე აგვიღწერს სერბულ-ალბანური კონფლიქტის ფესვებს, კონფლიქტის მსვლელობას, მომავლის ხედვებს.

7. Hosmer. S.(2001) “The conflict over Kosovo”- Rand Corporation.

ეს წიგნი აგვიღწერს თუ რატომ გადაწყვიტა სლობოდან მილოშევიჩმა, მომავალმა იუგოსლავიის პრეზიდენტმა დათანხმებულიყო ნატოს პირობებს და კოსოვოს კონფლიქტის დამთავრებას 1999 წელს. სტატია აანალიზებს მილოშევიჩის გადაწყვეტილებებს და ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო განვითარებების პირობებს იმ პერიოდში. ნატოს ჩართულობამ ომში გამოიწვია ის რომ საერთაშორისო ინტერესი გაიზარდა სერბეთის მიმართ და ასევე ყველა მოელოდა ომის საბოლოო გადაწყვეტას.

8. Bieber. F. Daskalovski. Z.(2003) “Understanding the war in Kosovo”- Frank Cass Publishers.

კოსოვოს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ბალკანელებისთვის, მან მოიპოვა დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა რადგანაც განადგურებულ იქნა ომის შედეგად და გამოიარა ეთნიკური წმენდაც. ამის შემდეგ კი აშენებდა ახალ სახელმწიფოს, ახალი ფასეულობებით. ამ რეგიონის ეთნიკური კონფლიქტი კარგი მაგალითი იყო მთელი მსოფლიოსთვის. ომი კოსოვოში მოხდა 1999 წლის გაზაფხულზე. მსოფლიო კოსოვოს განიხილავს როგორც ევროპის ნაწილს და მისი სტაბილურობით და წინსვლითაც არის დაინტერესებული. კონფლიქტის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშეს დასავლეთის ქვეყნებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

9. Mertus J.A.(1999) Kosovo-“How myths and truths started a war”-Universitu of California Press

ავტორი გვაწვდის კოსოვოს სიტუაციის აღწერას სადაც დამაბულობა სერბებსა და ალბანელებს შორის გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში 1998 წელს. ეს იყო ეთნიკური კონფლიქტი, რომელმაც წინაპირობა შეუქმნა ომის დაწყებას. ამ ომმა მოგვცა გმირები, წამებულები, დამპყრობლები და ასევე მსხვერპლებიც. ეს წიგნი საუკეთესოდ ასახავს კოსოვოში მიმდინარე მოვლენებს კონფლიქტის განმავლობაში. საბოლოოდ გამოცდილებამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური იდეოლოგია კოსოვოში, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობასაც შეუწყო ხელი.

1. კოსოვოს კონფლიქტის ისტორიული წანამძღვრები.

1.1. კოსოვოს ისტორიული განვითარების თავისებურებები

საუკუნეების განმავლობაში სერბების ისტორია, მითი და ტრადიციები გადაეცემოდა თაობიდან თაობას. სერბულმა ეპოსმა შემოინახა ამბავი სერბი პრინცი მარკოსა და ალბანელი ყაჩაღი მუსას ცხოვრებისა. პოემა გვიყვება ალბანელების და სერბების ურთიერთობის შესახებ კოსოვოში. ეს ეპოსში, ისტორიულად კი: თავდაპირველად კოსოვოს ტერიტორია დასახლებული იყო ილირიელებით, რომლებიც ილირიული ომების შედეგად შევიდნენ რომის იმპერიის შემადგენლობაში. რომის იმპერიის დაშლის შედეგად თანამედროვე კოსოვოს ტერიტორია შევიდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში; მე-6 საუკუნის ბოლოს კოსოვო, ისევე როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი კოლონიზირებულ იქნა სლავების მიერ, რომლებმაც ნაწილობრივ გამოდევნეს, ნაწილობრივ კი ასიმილირდნენ ადგილობრივ რომანულ მოსახლეობასთან.

ტერიტორიები რჩებოდა ბიზანტიის ნომინალურ სუვერენიტეტში, ხელისუფლება ფაქტიურად ეკუთვნოდა ადგილობრივი სლავური თემების ბელადებს, რომლებმაც თანამედროვე სერბეთის, მათ შორის კოსოვოს ტერიტორიაზე წარმოქმნეს პროტოსახელმწიფოებრივი გაერთიანებები. პატარ-პატარა თემური გაერთიანებები თანდათან ერთმანეთს ერწყმოდნენ სამთავროების წარმოქმნით, თუმცა სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ გაჭიანურებული იყო ტერიტორიების ცენტრისგან დაშორებისა და ურთიერთეკონომიკური კავშირების არქონის გამო. საბოლოოდ სერბეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა რამოდენიმე სახელმწიფოებრივი ცენტრი, ერთ-ერთ მათგანი თანამედროვე კოსოვოს ტერიტორიის ჩრდილოეთს იკავებდა, რომელმაც მოგვიანებით მიიღო რაშკას სამთავროს სახელწოდება, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პარალელურად ხდებოდა სერბების გაქრისტიანება.

სლავურ მიწებზე ქრისტიანობა შემოჰქონდა ბიზანტიას, შესაბამისად პოლიტიკური გავლენა სლავებზე ამ გზითაც ძლიერდებოდა. იმპერატორი კონსტანტინე გადმოგვცემს რომ სერბების ნათლობა 610-641 წლებში დაიწყო, იმპერატორ ჰერაკლეს დროს, რომელიც აგზავნიდა მღვდელმსახურებს რომიდან სერბეთში. თავიდან ქრისტიანობა ძნელად ვრცელდებოდა, საბოლოოდ დაკანონდა მე-9

საუკუნის მეორე ნახევარში, იმპერატორ ბასილი პირველის დროს.ამავე პერიოდში დაიწყო ინტენსიური ექპანსია ბულგარელებისა სერბთა მიწაზე, კოსოვო კი გახდა ბრძოლის არენა პირველი ბულგარული სამეფოს, ბიზანტიისა და შედარებით სუსტი სერბული სამეფო რაშკასი.

მეათე საუკუნის დასაწყისში კოსოვო შეყვანილ იქნა ბულგარეთის სამეფოში, სადაც მეფობდა სიმონ პირველი, 1018 წელს ბულგარეთის სამეფო დაიპყრო ბიზანტიის იმპერატორმა ვასილ მეორემ, სერბული მიწები მეექვსე საუკუნის შემდეგ კვლავ გადავიდა ბიზანტიის იმპერიის მმართველობის ქვეშ; ამან გამოიწვია სერბული სახელმწიფოებრივი ცენტრის გადანაცვლება დუკლაში, სადაც მეთერთმეტე საუკუნის შუაში მძლავრი სლავური სამთავრო 1077 წლიდან კი სამეფო წარმოიქმნა. ამ სამეფოში კონსტანტინე ბოდინის მმართველობისას შევიდა კოსოვოც.კონსტანტინე ბოდინის სიკვდილის შემდეგ დუკლიას სამეფო დაიშალა,კოსოვო კვლავ გახდა არენა ბიზანტიისა და რაშკას სამთავროს დაპირისპირებისა. ამ ბრძოლაში გარდატეხა შეიტანა რაშკას ტახტზე თავად სტეფან ნემანის ასვლამ,რომელმაც სათავე დაუდო ნემანების დინასტიას. 1160 წლის ბოლოს მან დაიმორჩილა კოსოვოს ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო 1180 წლის ბოლოს მთელი კოსოვო, მეტოჰია და მაკედონიის ნაწილი. 1190 წელს სტეფან ნემანმა განიცადა მარცხი ბიზანტიელებთან მორავიის ბრძოლაში, კოსოვოს დიდი ნაწილი გადავიდა სერბეთის სახელმწიფოში, რომელმაც იმ პერიოდისთვის დამოუკიდებლობა მოიპოვა, თანამედროვე კოსოვოს ტერიტორიის საბოლოო შესვლა სერბეთის შემადგენლობაში მოხდა 1208 წელს პრიზრენისა და ლიპლიანას ალების შემდეგ. (Judah.T. 2000 გვ 1-5)

1217 წელს თავადი სტეფანი კურთხეულ იქნა სერბეთის მეფედ. 1219 წელს დაარსდა სერბეთის ავტოკეფალური მართმადიდებლური ეპარქია ცენტრებით ხვოსნოში, პრიზრენასა და ლიპლიანაში. მე-13 საუკუნის ბოლოს სერბეთის მეტროპოლიტის რეზიდენცია გადატანილ იქნა ქალაქ პეჩში.კოსოვო კი გახდა სერბეთის კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი. აქ აშენდა უამრავი ეკლესია-მონასტერი.კოსოვოს დასავლეთ ნაწილის მეტოჰიის მიწების დიდი ნაწილი გადაეცა ეკლესიას. პრიშტინა, პრიზრენა, და ნეროდიმის ციხე-სერბეთის მეფეთა რეზიდენციას

წარმოადგენდა. აქტიურად ვითარდებოდა ვაჭრობა. ხელსაქმეობა, ყოველივე ამის ცენტრი კი იყო პრიშტინა და ნოვო-ბრდო.

კოსოვოსა და მთელი სერბეთის ეკონომიკური და კულტურული აყვავება მოხდა ნემანის უკანასკნელი მონარქის სტეფან დუშანის (1331-1355წწ) მმართველობისას, როცა სერბეთის სახელმწიფოში შედიოდა მაკედონია, ჩრდილო საბერძნეთი და ალბანეთი. 1346 წელს სტეფან დუშანი იწოდებოდა „მეფედ სერბებისა და ბერძნებისა“. ამ პერიოდში კოსოვოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სერბი იყო. ამაზე მიუთითებენ მონასტერების სიგელები და სხვა დოკუმენტები, თუმცა სერბების გარდა აქ ცხოვრობდნენ ალბანელები, ვალახები, ბერძნები, ბულგარელები, გერმანელები. სტეფან დუშანის გარდაცვალების შემდეგ სერბეთის სახელმწიფო მალევე დაიშალა. კოსოვოში ძალაუფლება ხელში აიღო თავადმა ვოისლავ ვოინოვიჩმა, იგი ატარებდა საკუთარ პოლიტიკას და არ ექვემდებარებოდა სერბეთის მეფე სტეფან უროშ მეხუთესს. 1360 წლის ბოლოს კოსოვო დაყოფილ იქნა რამოდენიმე სამთავროდ: ნიკოლ ალტამანოვიჩის, თავად ლაზარისა და მეფე ვუკაშჩინის სამფლობელოებად. გამუდმებულმა ქიშპობამ და ომებმა მკვეთრად დაასუსტა სერბეთი, მით უმეტეს რომ თანდათან იზრდებოდა საფრთხე ოსმალეთის იმპერიის მხრიდან. 1371 წელს სერბების არმია ვუკაშჩინის მეთაურობით დამარცხდა მარიცკის ბრძოლაში, რის შემდეგაც მაკედონია და სამხრეთ კოსოვო თურქების უღელქვეშ აღმოჩნდნენ. ისტორიკოსები ამ ბრძოლას მიიჩნევენ ერთ-ერთ ცნობილ ბრძოლად კოსოვოში. სერბეთის გაერთიანების მცდელობა ჰქონდა თავად ლაზარს, რომელიც ცნობილი ფიგურა იყო იმ დროისთვის, ლაზარმა გააკეთა მნიშვნელოვანი არჩევანი: ან გადარჩებოდა სამეფოსთვის ან თავს გაწირავდა. 1389 წელს კოსოვოს ველზე გაერთიანებულ სერბთა არმია თავად ლაზარის მეთაურობით სასტიკად დამარცხდა რიცხოვნობით ბევრად აღმატებულ სულთან მურად პირველის ჯართან; ორივენი ლაზარიც და სულთან მურადიც ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. სერბეთი გადავიდა ოსმალთა იმპერიის ბატონობის ქვეშ. მიუხედავად მარცხისა ეს ბრძოლა სერბულ ეპოსში შევიდა როგორც უდიდესი ბრძოლა სერბული ნაციონალიზმის გაღვივებისა. (Judah.T. 2000 გვ. 5-8)

მე-15 საუკუნის დასაწყისში სტეფან ლაზარევიჩის მეფობისას სერბეთის სახელმწიფო მოკლე პერიოდით კვლავ აღორძინდა, სერბული მიწების ერთობა კვლავ

აღდგა, თუმცა სახელმწიფოს ბირთვი მოთავსებულ იყო ჩრდილო რაიონებში, სადაც თურქთა თარეში ნაკლები იყო, კოსოვო კვლავ სერბეთის ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრად რჩებოდა. მე-15 საუკუნის შუაში კვლავ დაიწყო თურქთა ახალი თავდასხმები. 1448 წელს კოსოვოს ველზე მეორე ბრძოლის დროს დამარცხებულ იქნა უნგრული არმია. 1454 წელს თურქებმა დაიკავეს პრიშტინა-სერბული სახელმწიფოს დედაქალაქი, სერბეთის ტერიტორია საბოლოოდ იქნა დაპყრობილი ოსმალეთის იმპერიის მიერ.

თურქთა ბატონობამ კატასტროფული შედეგები გამოიღო სერბეთისთვის, ომებმა, მარცხამ, ტრადიციული ურთიერთობების ნგრევამ, ახალი გადასახადების შემოღებამ, სოფლის მეურნეობის სავაჭრო კავშირების გაწყვეტამ, წარმოების შემცირებამ, კოსოვოში გამოიწვია მთელი რაიონების დაცარიელება, ქალაქების ზრდა კი შეჩერდა. ეკონომიკურ სტაგნაციას დაემატა ნაციონალური დევნის ფაქტორიც. უამრავი ქრისტიანი და მუსლიმი გაიძევნა საკუთარი სახლებიდან. განსაკუთრებით შევიწროებულ იქნა ქრისტიანული არისტოკრატია, გათურქებული, ისლამმიღებული სლავებისგან. ქრისტიანებს აეკრძალათ იარაღის ტარება, სახელმწიფო სამსახურში მოწყობა, ეს კი ხელს უწყობდა სერბი მოსახლეობის გადინებას მთიან რაიონებში ან საერთოდ ოსმალეთის იმპერიის გარეთ, განთავისუფლებულ მიწებზე კი სახლდებოდნენ მომთაბარე ვალახები, ალბანელები, რომლებიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

მე-15-16 საუკუნეებში სერბული კულტურისა და ნაციონალური ერთობის ცენტრს წარმოადგენდა მართმადიდებლური ეკლესია პეჩის პატრიარქის მეთაურობით. ეკლესიამ შეინარჩუნა თავისი მიწების დიდი ნაწილი, რაც საშუალებას აძლევდა მას გაემლიერებინა თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა სერბი ხალხების ნაციონალური კავშირისთვის ოსმალურ იმპერიაში.

1537 წელს პეჩის საპატრიარქოს დამოუკიდებლობა იქნა აღდგენილი, ხოლო პატრიარქმა მიიღო უფლებები ტოლი კონსტანტინეპოლის პატრიარქისა.

მე-16 საუკუნეში დაწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. გახშირდა გლეხთა აჯანყებები, სერბი მოსახლეობის პოლიტიკური ელიტა საპატრიარქოს

მეთაურობით კავშირებს ამყარებდა ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახლემწიფოებთან-ვენეციის რესპუბლიკა, ავსტრია, ესპანეთი. ანტითურქული მოძრაობის მამოძრავებელ ძალას ავსტრია წარმოადგენდა. ავსტრო-თურქული ომების პერიოდში 1593-1606 წლებში სერბულ მიწებს გადაუარა აჯანყებების ტალღამ; შემდეგი აღმავლობა განმათავისუფლებელი მოძრაობისა მოდის მე-17 საუკუნის ბოლოზე, როცა ავსტრიელმა მეზრძოლებმა დაიკავეს ბელგრადი, ამან გამოიწვია მასობრივი გამოსვლები მთელ სერბულ მიწებზე და ზოგიერთი ტერიტორიის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან.

1.2. კოსოვო ოსმალეთის შემადგენლობაში.

1689 წელს ავსტრიულმა არმიამ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით გაათავისუფლა, კოსოვოსა და ჩრდილო სერბეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა 1690 წელს ოსმალეთმა კვლავ დაიპყრო მაკედონია და სერბეთიც. თურქმა მეზრძოლებმა კვლავ დაიკავეს ბელგრადი. თურქულმა რეპრესიებმა აიძულეს სერბები კვლავ დაეტოვებინათ თავიანთი მიწები, პეჩის პატრიარქის არსენ მესამის გაწვევით 1690 წელს დაიწყო სერბების მასიური გასვლა კოსოვოს ტერიტორიიდან, ავსტრიის მონარქიის ტერიტორიაზე დუნაის იქით. ამ გადაადგილებამ მიიღო სერბების დიდი გადასახლების სახელი, მის შედეგს წარმოადგენდა ეთნიკური სერბული ტერიტორიების გაფართოება ჩრდილოეთით-ბანატი, სრემი, ბაჩკა და ბარანია დასახლდა სერბებით. თუმცა მეორეს მხრივ მოხდა სამხრეთ სერბეთის დაცარიელება. მხოლოდ კოსოვოდან არსენ მესამის გაწვევით ემიგრირებულ იქნა 37 ათასი ოჯახი. სერბთა გამოსვლა გაგრძელდა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 1735-1737 წლებში, ავსტრო-თურქულ ომში ავსტრიელების მარცხის შემდეგ. მიწები დაცარიელდა, მეურნეობდა ეცემოდა.

დაცარიელებულ მიწებზე მე-17 საუკუნის ბოლოდან ხდებოდა ალბანელების გადმოსახლება. ჩამოსახლებული ალბანელები ეფექტურად ინტეგრირდებოდნენ ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში, მე-18 საუკუნისთვის თითქმის ნახევარმა ალბანელებისა მიიღო ისლამი, ამასთანავე ამავე მიწებზე დასახლებული თურქები სწრაფად ასიმილირდნენ ალბანელებთან. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ალბანური ეკონომიკის სწრაფი აღმასვლა; კერძოდ ვაჭრობისა

და სხვადასხვა წარმოებისა, ეს ფაქტორები ხელს უწყობდა ალბანელი მოსახლეების მიერ მეზობელი ტერიტორიების კოლონიზაციას.

კოსოვოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებამ სათავე დაუდო სერბულ ალბანური დაპირისპირების გაღვივებას, საპატრიარქოც ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციას, აღარ იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი, ხოლო 1766 წელს პეჩის საპატრიარქო გაუქმდა. მე-18 საუკუნის შუაში შეწყდა ჰაბსბურგების ექსპანსია ბალკანეთზე, ყოველივე ეს ხელს უწყობდა ნაციონალური მოძრაობის დაცემას და მის გადანაცვლებას ჩრილოეთ სერბეთში, კერძოდ ბელგრადში, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში სერბეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი გახდა. კოსოვოში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ალბანელი მოსახლეობის წილი, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, თუმცა 1838 წელს ავსტრიელი მკვლევარი იუზეფ მილერი აღნიშნავს მოსახლეობის სლავური ხასიათის უპირატესობაზე, განსაკუთრებით კი ქალაქებში.(Judah. T. 2000 გვ 8-12)

კოსოვოში სერბული ნაციონალური მოძრაობის შესუსტების კვალდაკვალ ხდებოდა ალბანური ნაციონალური მოძრაობის ჩასახვა და ზრდა. მისი პირველი ჩანასახი გამოჩნდა 1831 წელს ე.წ. საფაშოების ეპოქის სახით, ცენტრალური ხელისუფლების კრიზისის პირობებში ოსმალეთის იმპერიაში იქმნებოდა ნახევრადდამოუკიდებელი საფაშოები, რომელთა სათავეში მსხვილი ადგილობრივი ფეოდალები იდგნენ და არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. კოსოვოს დიდი ნაწილი 1780 წლისთვის მოექცა მეჰმედ-ფაშას ხელისუფლების ქვეშ, რომელმაც ჩრდილო და ცენტრალური ალბანეთის, ასევე კოსოვოსა და დასავლეთ მაკედონიის მიწებზე შექმნა საკუთარი სამთავრო ცენტრით- შკოდერში. მე-19 საუკუნის დასაწყისში შკოდერის საფაშომ შეიძინა ალბანელთა ნაციონალური წარმოქმნის შტრიხები, თურქეთთან დამოკიდებულების სრული გაწყვეტით. 1831 წელს შკოდერის მუსტაფა ფაშის მეზობლები განადგურებულ იქნა, თვითონ ფაშა კი გადააყენეს. ხოლო რეგიონში აღდგენილ იქნა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური მმართველობა. ალბანეთში ოსმალების შეჭრა, ასევე ადგილობრივ ფეოდალებს შორის შუღლი და გამუდმებული ბრძოლები ბიძგს აძლევდა ალბანელებს მე-18-19 საუკუნეებში გადასახლებულიყვნენ შედარებით მშვიდ კოსოვოში, ალბანელი მოსახლეობის რიცხვი თანდათან იზრდებოდა

და მე-19 საუკუნის შუაში უკვე დიდ ნიშნულსაც მიაღწია. ამავდროულად იზრდებოდა კოსოვოს მნიშვნელობა ალბანური ნაციონალური მოძრაობისთვის. 1830 წლისათვის ალბანელებმა დაიწყეს გამოსვლები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1840 წელს უკვე ადგილი ჰქონდა ალბანური ნაციონალიზმის აღორძინებას, რომლის ლიდერები ალბანური მიწების გაერთიანებასა და თვითმმართველობას მოითხოვდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.

1866-67 წლებში კოსოვოში მოხდა ალბანელების მსხვილი აჯანყება თურქული ხელისუფლების წინააღმდეგ, 1876-1877 წლების „აღმოსავლური კრიზისის“ პერიოდში ალბანელები მხარს უჭერდნენ აჯანყებებს ჰერცეგოვინასა და ბულგარეთში და უარს ამბობდნენ ოსმალთა არმიაში სამასახურზე.

1878 წელს სან-სტეფანის სამშვიდობო შეთანხმების მიღების შემდეგ, სადაც არ იყო გათვალისწინებული ალბანელების ინტერესები, მოხდა ალბანელთა ნაციონალურ მოძრაობაში ძირეული გარდატეხა. ანტიოსმალური აჯანყებების იდეა შეცვალა ალბანელებით დასახლებული მიწების გაერთიანების იდეამ-ავტონომიური ვილაიეთის სახით იმპერიის შემადგენლობაში. ახალი მოძრაობის ბირთვი იყო კოსოვო. აქ ქალაქ პრიზრენაში 1878 წლის 10 ივნისს გაიმართა საერთო ალბანური ყრილობა, სადაც დაარსდა ალბანელთა პრიზრენის ლიგა-სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა ალბანელთა ნაციონალური ინტერესები. ლიგამ გააჩაღა აქტიური მოღვაწეობა, მისი ქვედანაყოფები შეიქმნა მთელ ალბანეთში, კოსოვოსა და დასავლეთ მაკედონიაში. ზოგიერთ რაიონებში ლიგის უჯრედები კონტროლსაც კი ამყარებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. 1880 წელს ოსმალეთის იმპერიამ უარი განაცხადა ალბანეთის ავტონომიური ვილაიეთის შექმნაზე, რის შემდეგაც ლიგის ხელმძღვანელობამ კავშირი გაწყვიტა პორტასთან, ხოლო მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს კოსოვოსა და დასავლეთ მაკედონიის ძირითადი ცენტრები. ამ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ადგილობრივი ალბანური ადმინისტრაცია, რომელიც ექვემდებარებოდა ლიგის დროებით მმართველობას. მაშინ, როდესაც თვით ალბანეთში ლიგა დაკავებული იყო შინაური კონფლიქტების მოგვარებით, ზუსტად კოსოვო გახდა ბირთვი ნაციონალური წინააღმდეგობისა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ პრიზრენის დროებითმა რადიკალურმა ხელმძღვანელობამ ვერ მიიღო მხარდაჭერა

შედარებით ზომიერი ჩრდილო და სამხრეთ ალბანეთის კომიტეტებისა, ამიტომ როცა 1881 წელს კოსოვოში შევიდა ოსმალეთის არმია, მოძრაობა სწრაფად ჩაახშეს. პრიზრენი აღებულ იქნა თურქების მიერ, შემდეგ თურქთა მმართველობა აღდგენილ იქნა მთელ კოსოვოში. პრიზრენის ლიგამ კი შეწყვიტა არსებობა.

მე-19 საუკუნის ბოლოს კოსოვოში გაძლიერდა ალბანური საგანმანათლებლო მოძრაობა, შეიქმნა სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მთელი ქსელი; ნაციონალურ მოძრაობაში თანდათან ყალიბდებოდა 2 ფრთა-ერთნი ავტონომიის მომხრენი იყვნენ, მეორენი კი დამოუკიდებლობისა. 1896-97 წლებში ხდება აღმავლობა ნაციონალური მოძრაობისა, მისი ცენტრი კი კვლავ კოსოვოა. 1897 წელს შეიქმნა კოსოვოს ქალაქების კავშირი (პრიზრენი, პეჩი, პრიშტინა), ალბანეთის თვითმმართველობის მოთხოვნით. 1899 წელს ქ. პეჩში დაარსდა ალბანური ლიგა რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბრძოლის ორგანიზება ალბანური მიწების გაერთიანებისა და ავტონომიის მოსაპოვებლად. ჩამოყალიბდა სამხედრო ფორმირებები და ადგილობრივი კომიტეტები; 1990 წელს კოსოვოში და ალბანეთში შეყვანილ იქნა თურქეთის ჯარი, რომელმაც ჩაახშო ალბანელთა გამოსვლები.

მაშინ როცა ალბანური ნაციონალური მოძრაობა კოსოვოში აღმავლობას განიცდიდა, სერბული ნაციონალიზმი უძრაობის ხანაში იმყოფებოდა, თუმცა მთლად ასეც არ იყო საქმე. უკვე 1850 წელს ქვეყნის ტერიტორიაზე გაღვივდა ემისართა პროპაგანდისტული და აგენტურული საქმიანობა, რომლებიც ნიადაგს ამზადებდნენ ყველა სერბული მიწის გაერთიანებისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩარჩოებში.

ადგილობრივი მოსახლების პოლიტიკური აქტივობა იყო დაბალი, კოსოვოს ჩრდილო და დასავლეთ რეგიონებში ხდებოდა სერბული სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება. მოხდა შეთანხმება სერბეთსა და ჩერნოგორიას შორის გავლენის სფეროების გადანაწილების შესახებ-მეტოჰია, სანჯაკი, ჩრდილო ალბანეთი ჩერნოგორიის ინტერესებში შედიოდა, აღმოსავლეთ კოსოვო და მაკედონია-კი სერბეთისა. ამავე წელს სერბია და ჩერნოგორია ერთად გამოდიოდნენ სლავების კულტურულ-რელიგიური ავტონომიის დასაცავად კოსოვოში, როცა თურქული ხელისუფლება შეეცადა პრიზრენის მიტროპოლიტად დაენიშნა ბერძენი-ფანარიოტი. (Judah. T. 2000 გვ 8-12)

1.3. კოსოვო იუგოსლავიის შემადგენლობაში

1878 წელს სერბეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიისგან, ცოტა მოგვიანებით 1912 წელს კი სერბიამ დაიქვემდებარა კოსოვო, თუმცა მხოლოდ 1918 წელს შევიდა კოსოვო სერბეთის სამეფოში. კოსოვოს შეერთება იოლი არ იყო, ვინაიდან მხარეში მოქმედებდა ეროვნული მოძრაობა. 1912 წელს მიიღო დამოუკიდებლობა ალბანეთმა, რომლის შემადგენლობაში კოსოვო არ შესულა.

ატმოსფერო წინა ბალკანური ომისა სერბეთში გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ მოახერხეს სერბებმა ხელახლა დაეკავებინათ კოსოვო. მაშინ როდესაც ალბანელებს არ შეეძლოთ დაეცვათ ალბანეთი ოტომანთა იმპერიისგან. სერბებს უკვე ჰქონდათ სახელმწიფო. ლეონ ტროცკიმ დაგვიტოვა ღირსშესანიშნავი აღწერა ბელგრადისა ომის წინა დღეს: ომი დაიწყო 1912 წლის ოქტომბერში, თურქები დასუსტებულნი იყვნენ კოსოვოს აჯანყებებისაგან; ბულგარეთი, სერბეთი, საბერძნეთი და მონტენეგრო დაიძრნენ თითქმის ერთდროულად, მონტენეგრომ დაიკავა სხვადასხვა ნაწილები კოსოვოსი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა კუმანოვოში, ჩრდილოეთ მაკედონიაში. კოსოვოს სერბების 30-40 % მოსახლეობისა გათავისუფლებულ იქნა, ალბანელებისთვის ეს იყო კატასტროფა; მათ სურდათ რომ შური ეძიათ, 1915 წელს მას შემდეგ რაც წარმატებით მოიგერიეს ავსტრო-უნგრელების შეტევა, სერბების ჯარი განადგურებულ იქნა. (Judah.T. 2000 გვ 18-19)

1918 წელს სერბების ჯარებმა ხელახლა დაიკავეს კოსოვო. პარტიზანებმა, რომლებიც იბრძოდნენ თურქებისა და სერბების წინააღმდეგ განაგრძეს ბრძოლა. შეჯახება აჯანყებულებთან იყო სისხლიანი, ათასობით გარდაიცვალა.

ათასობით დარჩა თავშესაფრის გარეშე. ინგლისელი მწერალი რებეკა ვესტი ამბობდა: მათ გაანადგურეს გზები, სახლები, მიმდინარეობდა ყაჩაღობა, მკვლელობები, პარტიზანებს არ სურდათ რომ კოსოვო ყოფილიყო იუგოსლავიის შემადგენლობაში. პარტიზანების მოქმედებები იყო უძლიერესი 1918-24 წლებში. 1918 წელს კოსოვოს ალბანელებმა დააფუძნეს კომიტეტი, რომელიც ცნობილი გახდა როგორც კოსოვოს კომიტეტი KK. პარტიზანების ცნობილი ლიდერები იყვნენ ჰასან ბეი პრიშტინა, აზემ ბეიტა და სხვანი. როგორც მწერალი მალკოლმი მიუთითებს 10000 აქივისტი გამოჩნდა ამ დროს. რებეკა ვესტი ამბობდა, რომ როდესაც ხალხს სძულს

ერთმანეთი, ეს აუარესებს ცხოვრების სტანდარტებს, ამძიმებს მდგომარეობას, მშვიდობიანი ცხოვრება რომ ყოფილიყო იუგოსლავია არასოდეს დაიშლებოდა სისხლიანად 1991 წელს.(Judah.T. 2000 გვ20-21)

1930-იან წლებში სერბეთის სამეფოს მმართველობა ცდილობდა სხვადასხვა ხერხებით მოეგვარებინდა ალბანელთა საკითხი, მაგალითად ალბანელთა თურქეთში ემიგრაციის მხარდაჭერით; იყო მუსოლინის წინადადებაც ალბანეთის გაყოფისა იუგოსლავიისა და იტალიას შორის, თუმცა მას პრინცი პავლე მხარს არ უჭერდა. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ მე-20 საუკუნის სათავეებსა და შუა პერიოდში ხედავს კოსოვოს დღევანდელი კონფლიქტის ფესვებს.

1938 წლის 11 ივლისს იუგოსლავიასა და თურქეთს შორის გაფორმდა კონვენცია თურქეთში 40 ათასი მუსულმანური ოჯახის გადასახლებისა სერბეთის სამხრეთ ნაწილიდან, ამასთანავე იუგოსლავიის მთავრობა ვალდებული იყო გადაეხადა თითოეული ოჯახისთვის 400 ლირა. მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიელებმა დაამყარეს ალბანეთში კოლაბორაციონალური რეჟიმი-დიდი ალბანეთი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კოსოვოც. ასევე ითხოვდნენ რომ ხელი მოეწერათ ჰიტლერის პაქტისთვის, ზეწოლის შედეგად მთავრობამ ეს გააკეთა, რადგან ემინოდათ წინააღმდეგ შემთხვევაში იუგოსლავიას დაიპყრობდნენ.

6 აპრილს ჰიტლერმა შური იძია, ბელგრადი დაბომბა და იუგოსლავიის დაპყრობა დაიწყო, ქვეყანა დანებდა 17 აპრილს, იუგოსლავია ახლა უკვე ასე გადანაწილდა: მონტენეგრო დაპყრობილ იქნა იტალიელების მიერ, მაკედონია ბულგარეთის მიერ, ცენტრალური სერბეთი ოკუპირებულ იყო გერმანიის მიერ. კოსოვო გაიყო 3 სექტორად, კოსოვოს ალბანელებს რაც შეეხებათ ისინიც დაპყრობილ იყვნენ, მათ მიიღეს უნიფიკაცია ყველა ალბანელებით მოსახლე მიწებისა.

1943 წელს კოსოვო და ალბანეთი დაპყრობილ იქნა გერმანიის მიერ. სერბეთში და მონტენეგროში მოკლულთა რიცხვი მერყეობდა 3000 დან 10000 მდე. 1942 წელს ბელგრადში რეგისტრირებული იყო 70000 ლტოლვილი კოსოვოდან. ომის შემდეგ ტიტო იმედოვნებდა რომ ალბანეთი შევიდოდა იუგოსლავიის შემადგენლობაში, კოსოვოსა და მეტოჰის გადაცემის სანაცვლოდ ალბანეთიდან მიიღო 400 ათასი დევნილი, ხოლო კოსოვოდან და მეტოჰიდან 200 ათასი სერბი გადაასახლა

იუგოსლავიის სხვადასხვა რეგიონებში, ამავდროულად იზრდებოდა პროვინციის თვითმართველობა. 1946 წელს ეს იყო ნაციონალური ოლქი, ხოლო 1963 წელს ავტონომიური მხარე, ამ დროისთვის ალბანელი და სერბი მოსახლეობის თანაფარდობა უკვე იყო 9:1 თან.

ახალი იუგოსლავიის მმართველობა 1943 წლის ნოემბერში შეიკრიბა ბოსნიაში, ანტიფაშისტების შეხვედრაზე. ახალი იუგოსლავია ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ყველა ადამიანს აქვს თვითგამორკვევის უფლება.

1944 წელს იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია სერიოზულ წინააღმდეგობაში მოვიდა კოსოვოს ალბანელებთან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ კოსოვოს სერბეთის შემადგენლობაში დაბრუნებით, ბროზ ტიტომ აკრძალა განდევნილი სერბების უკან დაბრუნება, ალბანელებს დაპირდა იუგოსლავიისა და ალბანეთის გაერთიანებას. ალბანელები კი მაინც უკმაყოფილოები იყვნენ. 1949 წელს ალბანელთა ლიდერი ენვერ ხოჯა წერდა: „კოსოვოსა და მეტოქიაში ალბანელთა დემოკრატიული და ნაციონალური უფლებები არ არის დაცული“. კოსოვოსთვის ავტონომიის მინიჭება და აქ ალბანური სკოლების გახსნა განიხილებოდა როგორც დემაგოგია, რადგან „იდეალი-ალბანეთთან შეერთება“ დარჩა განუხორციელებელი. (Judah.T. 2000 გვ 30-31)

1960 წლების შუამდე სიტუაციის მხარეში მკაცრად აკონტროლებდნენ სახელმწიფო უშიშროების უწყება, რომელსაც ტიტოს უახლოესი თანამებროლი ალექსანდრე რანკოვიჩი ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო უშიშროება მკაცრად არეგისტრირებდა ყველა ალბანელს იარაღის შენახვისა და ალბანელებთან კავშირის გამო. მისი გადადგომის შემდეგ, ამერიკელი ისტორიკოსის ნიშნ კრეიგის აზრით ქვეყანაში შეიქმნა განსხვავებული აზრის არსებობის საშუალება, ხოლო კოსოვოს შემდგომმა სუვერენიზაციამ შესაძლებელი გახადა სერბი უმცირესობების დისკრიმინაცია ალბანელების მიერ.

შემდეგი ნაბიჯი კოსოვოსა და მეტოქიის ავტონომიზაციისა გახდა იუგოსლავიის 1963 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ნაციონალური უმცირესობები იწოდებოდა ხალხებად, ხოლო ავტონომიურმა ოლქებმა მიიღეს ავტონომიური მხარის სტატუსი.

1969 წელს მხარის დასახელება შეიცვალა კოსოვოს ავტონომიური რესპუბლიკით.

ამ დროისთვის კოსოვოს კომუნისტების ლიდერი ფადილ ხოჯა ფედერალური მთავრობისგან მოითხოვდა მხარეში შემავალი ერებისა და ეროვნებების ენათა თანასწორუფლებიანობას. ავტონომიური მხარის კონსტიტუციის წესდების გადახედვას, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკების კავშირის განმარტებას, როგორც თანაბარუფლებიანი ხალხების ერთიანობას, მხარეში კონსტიტუციური სასამართლოს შექმნას.

1968 წელს კოსოვოსა და მაკედონიაში მოეწყო ალბანელი ახალგაზრდების გამოსვლები, დემონსტანტები მოითხოვდნენ ავტონომიური მხარისთვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ახალი კონსტიტუციის მიღებას, სხვადასხვა რესპუბლიკებში ალბანელებით დასახლებული მიწების გაერთიანებას. დემონსტრაცია პოლიციის ძალით იქნა დაშლილი. იუგოსლავიის სახელმწიფო უშიშროების სამსახური აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდისთვის მხარეში გაიზარდა ნაციონალისტური განწყობილება მოსახლეობის ინტელექტუალურ ნაწილში, სტუდენტებსა და მოსწავლეებშიც კი. ალბანელი ნაციონალისტების პოზიციები გამყარდა, დაშვებულ იქნა ალბანური ნაციონალური სიმბოლოების გამოყენების უფლება. პარალელურად ალბანელთა ზეწოლის შედეგად მხარეს ტოვებდნენ სერბები და ჩერნოგორიელები, არსებობს სხვადასხვა მიზეზი ამ პროცესისა, როგორც ეთნო-რელიგიური, ისე ეკონომიკური; სერბთა ადგილებს კი იკავებდნენ მაკედონიიდან, ჩერნოგორიიდან და სამხრეთ სერბეთიდან გადმოსული ალბანელები. ფადილ ხოჯა აღნიშნავდა რომ ალბანელ ხალხს აქვს უფლება ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისა და აუცილებლად უნდა იბრძოლონ ამისთვის.(Judah.T. 2000 გვ40-42)

1970-იანი წლები ხასიათდება ნაციონალური დამაბულოებით და ალბანური ნაციონალური ორგანიზაციების გააქტიურებით, რომელთაგან გამოირჩეოდა „კოსოვოს ნაციონალური განთავისუფლების მოძრაობა“, მას მჭიდროდ უჭერდა მხარს ალბანელი სტუდენტების დიდი ნაწილი, რომლებიც დაკავებული იყვნენ აკრძალული ლიტერატურის პროპაგანდითა და გავრცელებით, ნაციონალისტური ორგანიზაციები მოქმედებდა მაკედონიასა და ევროპის ქვეყნებშიც. კოსოვო იუგოსლავიის შემადგენლობაში ყოველთვის ითვლებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონად,

რომელიც ლეზულობდა დოტაციებს ფედერალური ცენტრიდან, 1970-იან წლებში კოსოვო იყო ძირითადი მიმღები კრედიტებისა იუგოსლავიის რეგიონებს შორის.

1976-80 წლებში ფედერაციამ ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების დაკრედიტების ფონდიდან კოსოვოს 2352 ათასი დინარი გამოუყო, კრედიტები იყო ხანგრძლივადიანი და ნაკლებპროცენტისანი.

1981 წელს კოსოვოში მასიური არეულობა დაიწყო, რამაც სათავე დაუდო ე.წ. „კოსოვურ ინტიფადეს“.

2. კოსოვარული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და განვითარება

კოსოვო არის დაბადების ადგილი ალბანური ნაციონალისტური მოძრაობისა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერლინის კონგრესმა შესთავაზა ალბანელებს, დასახლებულიყვნენ ბალკანეთში და მის მეზობელ ქვეყნებში. დაარსდა ალბანელთა პრიზრენის ლიგა, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა ალბანელთა ნაციონალური ინტერესები. მოვლენებმა, რომელიც განვითარდა კოსოვოში დააჩქარა ალბანური ნაციონალიზმის განვითარება.

ბალკანეთის ომი დასრულდა ოტომანთა დამარცხებით. ამის შემდეგ დაიწყო ალბანურმა ნაციონალიზმმა წინსვლა და განვითარება. ალბანური ნაციონალიზმი გახდა აშკარა და იგი გამოიხატა ალბანურ ენაში, კულტურასა და იდენტობაში.

კონფლიქტის წინა პერიოდში კოსოვოს KLA-ს მებრძოლებმა შეაღწიეს კოსოვარულ ალბანურ საზოგადოებაში. ავრცელებდნენ ლიტერატურას, აშენებდნენ მონუმენტებს და ა.შ.

კოსოვოში ისევე როგორც ალბანეთში ალბანელები თავს მიიჩნევენ ბალკანეთის უძველეს ერად, სერბები ალბანური ნაციონალიზმის მხრიდან მიჩნეულნი არიან როგორც „სლავები“ ალბანეთის სახელმწიფოში ისტორიული ტერიტორიული უფლებების გარეშე. კოსოვოში ასევე არსებობს დარდანიალურ -ილირიული მითი რომელიც თანამედროვე კოსოვოელ ალბანელებს მიიჩნევს როგორც დარდანელების შთამომავლებს, ეს იყო ქვეჯგუფი ილირიელი ხალხისა რომელიც სახლობდა აქ. დარდანელები კოსოვოელი ალბანელების მხრიდან განხილულნი იყვნენ როგორც კათოლიკეები, ქმნიდნენ რა ისტორიულ ნაწილს დასავლურ ცივილიზაციასთან. მითი ზეგავლენას ახდენდა კოსოვოელების სერბებისგან თვითგამორკვევისათვის ბრძოლაზე.

ალბანური ნაციონალიზმი კოსოვოში არის სეკულარული, ისლამი არის განსაკუთრებით დომინანტური, რომელიც ნაციონალურ და კულტურულ იდენტობასაც განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა პოლიტიკური სფერო ალბანეთში რჩება უფრო მნიშვნელოვანი. ისლამმა ვერ განახორციელა ის რომ გამხდარიყო მთავარი კომპონენტი დიდი ალბანეთის წარმოქმნაში. ალბანელებისთვის მთავარი არის დანაშაულებების

აღმოფხვრა, სუსტი მთავრობის გაძლიერება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რაც ყველა ალბანელ მოქალაქეს აერთიანებს ერთად.

უკანასკნელი მოვლენები კოსოვოში განვითარდა შემდეგნაირად : მიმდინარეობდა კოსოვოს ომი (1999) წელს, კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიასა და იუგოსლავიის არმიას შორის. სადაც მოგვიანებით ნატომ მოახდინა სამხედრო ინტერვენცია. ჰქონდათ რა საერთაშორისო მხარდაჭერა კოსოვოელმა ალბანელებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა (2008) რომელიც უკვე აღიარებულია მრავალი ქვეყნის მხრიდან. ასევე საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს კოსოვარულ ალბანურ ნაციონალიზმს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით კოსოვო ცდილობს დააფუძნოს სახელმწიფო რომელიც იქნება ახალ იდეოლოგიაზე დაფუძნებული და დაარღვევს წარსული ნიშნებს და ააშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს მომავალში. აღმოსავლურმა ფრთამ ნაციონალური მოძრაობისა წარმოქმნა პარტია, რომელიც კოსოვო-ალბანური ურთიერთობის გაღრმავებას უწყობს ხელს და ასევე პან-ალბანურ საზოგადოებას წარმოქმნის ბალკანეთში.

მიუხედავად ყველაფრისა ალბანური ნაციონალიზმი რჩება პოპულარული, კოსოვოელი ალბანელები კი მხარს უჭერენ „ორი სახელმწიფო, ერთი ნაციის“ პლატფორმას. კოსოვოს სახელმწიფო სერბული და უცხოური კონტროლის გარეშე, უფრო უნარიანია. უკანასკნელ პერიოდში კოსოვოსა და ალბანეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს მრავალ შეთანხმებას და მემორანდუმს, ურთიერთანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც გაატარებს ეფექტურ პოლიტიკას საშინაო და საგარეო კუთხით. გამოკითხვებმა აჩვენეს რომ 73 პროცენტს კოსოვოელ ალბანელებისა სურთ ალბანელებთან ერთობა, დღესდღეობით კოსოვოელი ალბანელები მიიჩნევენ კოსოვოს მეორე ალბანურ სახელმწიფოდ.

რაც შეეხება სერბეთს, სერბული ნაციონალიზმი მხარს უჭერს იმას რომ სერბეთი არის ნაცია რომელიც წარმოადგენს სერბების ერთიანობას. ეს არის ეთნიკური ნაციონალიზმი რომელმაც აღმასვლა განიცადა ბალკანური ნაციონალიზმის აღმასვლის დარად, ოტომანების მმართველობის ქვეშ, სერბი ლინგვისტის ვუკ კარაჯიჩისა და სერბი სახელმწიფო მოღვაწის ილია გარაზანიჩისგან. სერბული ნაციონალიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბალკანური ომის პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის

განმავლობაში, შემდეგ, ავსტო-უნგრული იმპერიის დაშლის დროს, ასევე იუგოსლავიის დაშლისა და იუგოსლავიის ომის პერიოდში 1990 წელს.

1878 წლიდან სერბული ნაციონალიზმი აღმასვლას განიცდიდა, იგი აცხადებდა რომ სერბეთი არის არა მხოლოდ ერთობა ყველა სერბისა ერთ სახელმწიფოში, არამედ იგი მოწოდებულია რომ იყოს სამხრეთ სლავების პიედმონტი, რომელიც გააერთიანებს ყველა სამხრეთ სლავს ერთ სახელმწიფოში, რომელსაც ერქმევა იუგოსლავია.

სერბული ნაციონალიზმი მხარს უჭერს ცენტრალიზებულ იუგოსლავიის სახელმწიფოს, რომელიც მოწოდებულია გააერთიანოს სერბეთი.

კონსტიტუცია, მიღებული იუგოსლავიაში 1921 წელს აერთიანებს ქვეყანას, როგორც ცენტრალიზებულ სახელმწიფოს.

სერბული ნაციონალიზმი ეწინააღმდეგება ისეთ შეთანხმებას, რომელიც დაასუსტებს სერბეთის გაერთიანებას. და მხარს უჭერს იუგოსლავიის ინსტიტუტებს, რომლის სლოგანიცაა „ძლიერი სერბეთი, ძლიერი იუგოსლავია“.

მეორე მსოფლიო ომის შედეგი იყო ეთნიკური კონფლიქტი სერბ, ხორვატ, ბოსნიელ და სხვა ერებს შორის, რომელიც დასრულდა ძალადობითა და სისხლისღვრით.

1960 წელს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დეცენტრალიზაციამ და ეთნიკური ნაციონალური სენტიმენტების ჩახშობამ მოიტანა უარყოფითი შედეგი სერბული ნაციონალიზმისთვის, რომელმაც აღმასვლა 1980 წლიდან დაიწყო.

1990 წელს იუგოსლავიის კოლაფსის შემდეგ რესპუბლიკები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას.

იუგოსლავია იყო მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ცენტრალური ევროპიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე იყო გადაჭიმული. იუგოსლავიის ეს სივრცე ეთნიკური კონფლიქტების მხრივ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ეს ფედერაციული გაერთიანება სხვადასხვა სახელმწიფოებად დაიშალა. ესენია: სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთი მაკედონია, მონტენეგრო, სერბია.

ეთნიკური კონფლიქტები და ის დამაბულობა რომელიც ბალკანეთში არსებობდა საერთო ჯამში მიმართული იყო სხადასხვა სახლემწიფოების მხრიდან დამოუკიდებლობის მიღწევაში.

3. კოსოვოს კონფლიქტის მიზეზები და თავისებურებები

3.1. იუგოსლავიის დაშლა და კონფლიქტები ხორვატიასა და ბოსნია

ჰერცეგოვინაში.

იუგოსლავია იყო მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ცენტრალური ევროპიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე იყო გადაჭიმული. იუგოსლავიის ეს სივრცე ეთნიკური კონფლიქტების მხრივ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ეს ფედერაციული გაერთიანება სხვადასხვა სახელმწიფოებად დაიშალა. ესენია: სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთი მაკედონია, მონტენეგრო, სერბია.

ომის გამომწვევ ძირითად მნიშვნელოვან ფაქტორებად ანალიტიკოსები შემდეგს ასახელებენ: 1. სამოქალაქო ომი მეორე მსოფლიო ომის დროს. 2. დიდი სერბეთის იდეა. 3. პანსლავიზმი.

იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალებისთანავე არაჩვეულებრივი სისწრაფით გაღვივდა ეთნიკური კონფლიქტები, რადგან ტიტო ბევრისთვის იუგოსლავიის შემაკავშირებელ ფიგურას წარმოადგენდა. ტიტოს გარდაცვალებისთანავე შეიქმნა მდგომარეობა, როცა ყველა მხარემ ლამის ერთდროულად მოისურვა ომი და შედეგმაც არ დააყოვნა; ქვეყანაში გაჩაღდა მრავალეთნიკური და ინტერკონფესიური სამოქალაქო ომი. სერბიას რაც შეეხება, ყოფილი იუგოსლავიის ყველაზე დიდ და დემოგრაფიულად ყველაზე ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა, 1974 წლის კონსტიტუციით შეუმცირეს გავლენის სფეროები. სლობოდან მილოშევიჩის სერბეთის საზღვრებს გარეთ არ გააჩნდა არანაირი კომპეტენცია, მაგრამ მას ჰქონდა ძლიერი გავლენა მთელი ქვეყნის მასშტაბით წამყვან პირებზე. იუგოსლავიის სახალხო არმიის როლი განსაკუთრებით ნათელი გახდა სლობოდან მილოშევიჩის სიტყვასა და საქმეში, რომელიც 1987 წლიდან მართავდა იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიას.

1990 წლის იანვარში იუგოსლავიაში ჩატარდა კომუნისტთა კავშირის რიგგარეშე 14-ე ყრილობა. სერბებს სურდათ ისეთი ძალაუფლება ჰქონოდათ, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. თავის მხრივ ხორვატებსა და

სლოვენებს სურდათ მეტი უფლება ჰქონოდათ თვითგამორკვევისთვის, მათ ვერ მიიღეს უმრავლესობა და დატოვეს ყრილობა.

1990-იანი წლების დამდეგს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ერთმანეთის მიყოლებით დაინგრა კომუნისტური რეჟიმები გდრ-ში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში და ბოლოს საბჭოთა კავშირშიც კი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, ალბანეთთან ერთად უკანასკნელი იყო, რომელსაც დემოკრატიის პროცესი არ შეხებია.

იუგოსლავიის ბიუჯეტი 1980-იანი წლების ბოლოს კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სლოვენია და ხორვატია კი ეკონომიკურად ყველაზე უფრო ძლიერ წევრ რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. ამანაც კი გარკვეული პრობლემები წარმოშვა იუგოსლავიისთვის. 1990 წელს გამართულ პირველი თავისუფალი არჩევნების შედეგად, სლოვენია და ხორვატია გამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციის რეფორმირების მომხრედ, სლოვენიაში ყოფილმა კომუნისტმა მილან კუჩანმა გაიმარჯვა, ხორვატიაში არჩევნები მოიგო ფრანიო ტუჯმანმა.

1990 წლის მარტში ხორვატიის დამოუკიდებლობის მომხრეთა დემონსტრაციის დროს სპლიტში აღელვებულმა მასამ ხორვატებისა, ინა-ს სერბი ჯარისკაცი ჩამოახრჩო. დემონსტრანტთა აღელვების მიზეზი გახდა მსხვერპლი მანიფესტანტთა შორის, სერბმა ჯარისკაცმა თავისი ჯავშან-ტრანსპორტიორით რამდენიმე ადამიანი გაიტანა. ამის შემდეგ შეიკრიბა ინა-ს კონსილიუმი, რათა საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულიყო და მღელვარებები ჩაეხშო. სერბია, მონტენეგრო, კოსოვო და ვოევოდინა გამოდიოდა საგანგებო მდგომარეობის მომხრედ, ხოლო ხორვატია, ჩრდილოეთი მაკედონია და ბოსნია-ჰერცეგოვინა კი პირიქით, ამგვარი ღონისძიების წინააღმდეგნი იყვნენ.

1990 წლის აგვისტოში ხორვატიაში მცხოვრებმა სერბებმა კრაინაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ აქციის მონაწილეთ სურდათ მოეხდინათ რევოლუცია, საბოლოო ჯამში 1990 წელს გაჩნდა დამოუკიდებელი კრაინა. მთავრობის ხელმძღვანელი იყო მილან ბაბიჩი.

1991 წელს საიდუმლო სამსახურმა წარმოადგინა ხორვატიის თავდაცვის მინისტრის მარტინ შპიგელის საიდუმლო შეხვედრის ვიდეო-ჩანაწერი ორ სხვა პირთან. შპიგელი ამბობდა: იარაღის მიწოდება და სამხედრო კონტაქტები ინას ოფიცრებთან

მყარდება, ლალატისა და იარაღის ვაჭრობის ბრალდებით დაკავებულ იქნა მარტინ შპიგელი, ბრალდებულმა საპასუხოდ სერბთა განადგურებისკენ მოუწოდა ხორვატებს. 1991 წლის 9 მარტს სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრაცია სამხედრო ძალით იქნა ჩახშობილი.(Drapac.V. 2010 გვ144-148)

1991 წელს კრაინამ თავი ხორვატიისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. 1991 წლის 25 ივნისს სლოვენამ და ხორვატიამ პირველებმა გამოაცხადეს თავი დამოუკიდებლად.

სულ მოკლე ხანში, მას შემდეგ რაც სლოვენამ და ხორვატიამ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა დაიწყო საომარი ქმედებები სლოვენის ტერიტორიულ თავდაცვასა და ინა-ს შორის. სლოვენის მოულოდნელმა თავდაცვის უნარმა და საერთაშორისო შუამდგომლობამ ის შედეგი გამოიღო, რომ სულ რამოდენიმე დღეში მეომარი მხარეები დაზავდნენ და სლოვენამ და ხორვატიამ ივალდებულეს იარაღი გადაეცათ ინასთვის.

1991 წლის ზაფხულში სლოვენის და ხორვატიის ტერიტორიულმა თავდაცვის ძალებმა, იუგოსლავიის სახალხო არმიას(ინა-ს) მსუბუქი შეიარაღება გადასცა. ამას კი ხორვატიისთვის ყველაზე ცუდი და გადამწყვეტი შედეგი უნდა ჰქონოდა. ამბობდნენ რომ ბელგრადს თვალი ხორვატიაზე ეჭირა. დღევანდელი პერსპექტივიდან კი სერბთა მიერ სლოვენიიდან ინა-ს ჯარების გამოყვანა და ამით ფედერაციის ინტეგრირების ფაქტობრივი დათმობა იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ძალების კონცენტრაცია ხორვატიის წინააღმდეგ ომისთვის მოეხდინათ.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ხორვატიის სერბებმაც გამოაცხადეს კრაინის სერბთა რესპუბლიკა.ინა-ს ჯარები გეგმავდა 48 საათის განმავლობაში დაემყარებინა კონტროლი ხორვატიასა და სლოვენიაში.ეს ვერ მოხერხდა, რადგან არათუ უბრალო ჯარისკაცების, არამედ საკუთარი თანამემამულეების მოკვლა მოუწევდათ. ამრიგად სლოვენამ მოახერხა უმცირესი მსხვერპლის გაღებით გამოყოფილიყო ფედერაციას. 3 თვის განმავლობაში მიაღწია სლოვენამ დამოუკიდებლობას. 1991 წელს მაინც დაუწყო ერთწლიანი ომი ხორვატიაში. 1991 წლის სექტემბერში მაკედონიამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ამას ბელგრადის წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. 500 ამერიკელი ჯარისკაცი იქნა გაგზავნილი გაეროს მანდატით მშვიდობის შესანარჩუნებლად.

1991 წლის ნოემბერში ლორდ კერინგტონის თხოვნის საფუძველზე ევროპის გაერთიანების მიერ ინიცირებულ ე.წ. ბადენტერის კომისიას დაევალა შესაბამისი მოხსენების მომზადება იუგოსლავიის დაშლასთან დაკავშირებით. კომისია შემდეგ დასკვნამდე მივიდა: 1. იუგოსლავია იმყოფება დაშლის პროცესში. 2. იუგოსლავიის წევრ რესპუბლიკებში მცხოვრებ სერბებს საკუთარი რესპუბლიკების შექმნის უფლება არ აქვთ. 3. ფედერაციის ცალკეულ წევრ რესპუბლიკებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით ცნობილი საზღვრები აქვთ და წარმოადგენენ რესპუბლიკებს. 1991 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ გამოაქვეყნა რეზოლუცია ნომერი 721, რომლის მიხედვითაც ჯარისკაცები მშვიდობის შენარჩუნების მიზნით არიან განლაგებულნი წევრ რესპუბლიკებში. მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოქმედებების შეჩერება ბევრგან მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა.

ხორვატია იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, ეს იყო შეიარაღებული კონფლიქტი ხორვატიის პოლიციასა და ხორვატიაში მცხოვრებ სერბებს შორის, რომლებიც ხორვატიის იუგოსლავიიდან გამოყოფის წინააღმდეგნი იყვნენ.

1990-იან წლებში ეროვნულმა სიძულვილმა ხორვატებსა და სერბებს შორის პიკს მიაღწია. სერბებმა ხორვატიის პოლიციის საგუშაგოებზე შეტევები დაიწყეს. მხოლოდ 1991 წლის აპრილში 20 ხორვატი პოლიციელი დაიღუპა სერბებთან შეტაკებაში. ხორვატიის სერბი უმცირესობები მოითხოვდნენ ხორვატიისგან კრაინას(სერბული დასახლება ხორვატიაში) ხორვატიისგან გამოყოფას.

1991 წელს ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სერბებმა 1 თვის შემდეგ სარაკეტო დარტყმები მიიტანეს ხორვატულ ქალაქებზე. აგვისტოში სერბებმა, ხორვატიის განაპირა ქალაქის ვუკოვარის შტურმი წამოიწყეს. სერბებმა იგი 18 ნოემბერს აიღეს. 5 ოქტომბერს, პრეზიდენტი ფრანკო ტუჯმანი სიტყვით გამოვიდა, სადაც მან მთელ ხორვატიის მოსახლეობას მოუწოდა სამხედრო მობილიზაციისა და სერბი იმპერიალისტებისგან თავის დაცვისკენ. მალევე კრაინამ თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.(Drapac.V. 2010 გვ144-148)

კრაინამ სერბეთის მხარდაჭერა დაკარგა, შედეგად ხორვატიის ჯარებმა შედეგიანი შტურმი მიიტანეს კრაინის დასავლეთ ნაწილზე. ხორვატიამ დაიწყო ოპერაცია შტორმის განხორციელება. მხოლოდ 4 დღეში კრაინა დატოვა 150000-მა სერბმა. ისინი

მსხვერპლნი იყვნენ ეთნიკური წმენდისა. ოპერაცია 4 დღეში 7 აგვისტოს ხორვატიის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. ხორვატიის ჯარებმა სრული კონტროლი აღადგინეს კრაინაზე.

ბოსნიის ომი იყო შეიარაღებული კონფლიქტი 1992 წლიდან 1995 წლამდე ერთის მხრივ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას რესპუბლიკასა და მეორე მხრივ სერბთა რესპუბლიკა და ჰერცეგ- ბოსნიის ხორვატთა რესპუბლიკას შორის. იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკამაც, რომელიც ეთნორელიგიურად ყველაზე ჭრელი იყო.

ომის პირველ მსხვერპლად სერბები, სერბთა ქორწილზე თავდასხმისას, მოკლულ ნეფის მამას ნიკოლა გარდოვიჩს მიიჩნევენ, ხოლო ბოსნიელები და ხორვატები სარაევოელ დემონსტრანტებს.

1992 წლის 6 აპრილს ბოსნიელმა სერბებმა დაიწყეს თანდათანობით დაკავება იმ რეგიონების, სადაც სერბები არა მხოლოდ უმრავლესობას, არამედ უმცირესობასაც შეადგენდნენ. ქალაქის ოკუპაციის შემდეგ ბოსნიელების ბედი მეტად მძიმე იყო. ასევე აღსანიშნავია ისიც რომ სერბებმა სარაევოს აღება ვერ შეძლეს. სერბებმა დაიკავეს სარაევოს გარშემო მაღლობები, სადაც განალაგეს არტილერია და ბომბავდნენ ქალაქს.

აღმოსავლეთ ბოსნია, ეთნიკური წმენდების პირველი მიზანი გახდა. გრძელდებოდა მამაკაცების მკვლელობა და ქალებზე ძალადობა. იგივე ხდებოდა დასავლეთ ბოსნიაში. ხორვატები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სერბები მათ სჯაბნიდნენ. ამის შემდეგ რადოვან კარაჯიჩი და ბობანი ხვდებიან ერთმანეთს გრაცში, სადაც თანხმდებიან გაიყონ ბოსნია და ჰერცეგოვინა.

ბოსნიელ სერბებს რაც შეეხებათ მათ დაბომბეს ქალაქი იაიცე, სერბებმა დაიკავეს ქალაქი. 40 ათასამდე ბოსნიელმა და ხორვატმა ლტოლვილმა დატოვა მხარე.

1993 წელს იერიში მიიტანეს სერბულ სოფლებზე-კრავიცაზე, იეჟესტიჩზე და შილკოვიჩაზე.

1993 წლის 8 იანვარს სერბთა რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცებმა მოკლეს ჰაკია ტურალიჩი, ბოსნიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე. ამის შემდეგ ცენტრალურ ბოსნიაში ხორვატებმა სცადეს ნოვი ტრავნიკისა და გორნი ვაკუფის აღება, თუმცა ბოსნიელების წინააღმდეგობის დამლევა ვერ შეძლეს. იგივე პერიოდში აქტიურად

უტევდნენ იაზლანიკას, რომელიც ასევე ბოსნიური ქალაქი იყო. 1993 წლის 6 მაისს გაერომ მიიღო რეზოლუცია 836, რომლის თანახმად განისაზღვრა უსაფრთხო ზონები ბოსნიაში.

1993 წლის 9 მაისს ხორვატთა თავდაცვის ვეჩემ ალყაში მოაქცია მოსტარის აღმოსავლეთ უბანი, სადაც ბოსნიური უმრავლესობა ცხოვრობდა, დაიწყო ქალაქის ამ ნაწილის დაბომბვა არტილერიით. დასავლეთ მოსტარიდან ბოსნიელები აღმოსავლეთ მოსტარში განდევნეს, რასაც თან ახლდა ძალადობა, მკვლელობები და ა.შ. 1993 წლის სექტემბერში ბოსნიელებმა წამოიწყეს შეტევა მოსტარის ალყის მოხსნის მიზნით, რომელსაც ნერეტვა 93 ეწოდა. ხორვატთა, რომელშიც უკვე ნახევარ მილიონამდე ლტოლვილია, 1994 წლის ზაფხულში იძულებული ხდება უარი თქვას ახალ ლტოლვილთა მიღებაზე.

1994 წლის 5 თებერვალს სერბთა რესპუბლიკის არმიამ, სარაევოს დაბომბვის დროს გამოიყენა 120მმ-იანი ნაღმტყორცნი. ნაღმტყორცნის ჭურვი მარკალეს ბაზარს დაეცა, რომელიც სარაევოს ცენტრში მდებარეობდა, 68 ადამიანი დაიღუპა, 144 კი დაიჭრა.

1994 წლის 18 მარტს ვაშინგტონსა და ვენაში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინას რესპუბლიკისა და ჰერცეგ-ბოსნიის ხორვატთა რესპუბლიკას შორის. ეს შეთანხმება ასრულებდა ომს ბოსნიის ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის, ქმნიდა ფედერაციის, რომელიც ათ კანტონად იყო დაყოფილი. ამ შეთანხმებამ დაასრულა ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის ომი სამხრეთ ბოსნიაში. (ნატო პირველად ჩაერია კონფლიქტში 1994 წლის 18 თებერვალს, როდესაც მისმა გამანდგურებლებმა ჩამოაგდეს სერბული თვითმფრინავები, რომლებმაც დაარღვიეს ბოსნიის არასაფრენი ზონა და ბომბავდნენ ნოვი ტრავნიკს.)

ოპერაცია ზამთარი 94 გაგრძელების მიზნით და ბიჰაჩის დასახმარებლად ხორვატებმა და ბოსნიელებმა გაზაფხულზე ჩაატარეს ოპერაცია 1 და ოპერაცია 2. სერბებმა ბიჰაჩის აღება ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ სერბები ცდილობდნენ დაეკავებინათ ხორვატული ქალაქი ორაშე ჩრდილოეთ ბოსნიაში. 25 მაისს სერბებმა დაბომბეს ქალაქი ტუზლა, 71 ადამიანი შეეწირა, 240 კი დაიჭრა. სრებრენიცა ერთ-ერთი იყო გაეროს უსაფრთხო ზონებიდან. აქ საშინელი მდგომარეობა იყო-არ იყო საკვები, მედიკამენტები. 6 ივლისს სერბებმა დაიწყეს შეტევა სრებრენიცას ზონაზე. გადაწყვიტეს

რომ დაეკავებინათ სრებრენიცა. საჰაერო დარტყმები შეჩერდა, სერბებმა სრებრენიცა დაიკავეს. სერბეთის პრეზიდენტმაც კი ტომისლავ ნიკოლიჩმა გამოთქვა მწუხარება სრებრენიცის ტრაგედიაზე, რადგანაც ამ ადგილას მიმდინარეობდა ხოცვა-ჟლეტა. (Drapac.V. 2010 გვ 59-62)

სრებრენიცის ანალოგიური ბედი ემუქრებოდა გორაჯდესა და ჯეპას. მოახერხეს ჟეპას მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია.

1995 წელს ხორვატებმა გადაწყვიტეს გადამჭრელი ზომები მიეღოთ კრანის რესპუბლიკის წინააღმდეგ. დაიგეგმა ოპერაცია ქარიშხალი, რომლის მიხედვით ხორვატულ არმიას მთელი კრანის ტერიტორია უნდა დაეკავებინა. ოპერაცია ხორვატებისა და ბოსნიელების გამარჯვებით დასრულდა. კრანის რესპუბლიკა ლიკვიდირებულ იქნა. 1995 წელს მოხდა მარკალეს ბაზრის მეორე დაბომბვა. ამის შემდეგ გაერომ და ნატომ დაიწყეს საჰაერო დარტყმები სერბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. დარტყმებში 400-მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა. დაბომბვები 14 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. სერბები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დათანხმდნენ გაეროს პირობებს, რითაც ოპერაციის აქტიური ფაზა დასრულდა. 20 სექტემბერს ოპერაცია შეწყდა. ბოსნიელებმა და ხორვატებმა წამოიწყეს შეტევა სერბულ პოზიციებზე, ბოსნიის რესპუბლიკამ გაანთავისუფლა ოზრენის შვერილი, იაიცი და შიპოვო. ასევე სანსკი მოსტი და კლიუჩი, მრკონიჩ გრადი. ბოსნიელები და ხორვატები მიუახლოვდნენ ბანია ლუკას. 12 ოქტომბერს ცეცხლის შეწყეტის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები, რომელიც დასრულდა 21 ნოემბერს. შედგა შეთანხმების ვარიანტი. დეიტონის შეთანხმებას ხელი მოეწერა 1995 წლის 14 დეკემბერს, მონაწილეობა მიიღეს ალია იზეტბეგოვიჩმა, სლობოდან მილოშევიჩმა და ფრანკო ტუჯმანმა. შეთანხმების მიხედვით ბოსნია და ჰერცეგოვინა დაიყო ორ სუბიექტად- ბოსნიის კონფედერაციად და სერბთა რესპუბლიკად. გაეროს სამშვიდობო ძალებს კი უნდა უზრუნველყოთ შეთანხმების დაცვა და შესრულება, ასევე მშვიდობის დაცვა ბოსნიის ტერიტორიაზე.(Drapac.V. 2010 გვ 70-74)

ევროპაში პირველი გენოციდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ სრებრენიცის ხოცვა-ჟლეტას ეწოდა. სერბთა რესპუბლიკის ლიდერების რადოვან

კარაჯიჩისა და რადკო მლადიჩის მიმართ სწორედ გენოციდის ბრალდებაა წაყენებული ჰააგის ტრიბუნალის მიერ.

ეთნიკური წმენდის დეფინიცია გაერომ სწორედ ბოსნიასთან დაკავშირებით მიღებულ 780-ე რეზოლუციაში მოახდინა. მაგ: ბოსნიელების მიერ ხორვატების გაძევება ბუგონიდან და ხორვატების მიერ ლაშვას ხეობის სოფლების წმენდა ბოსნიელებისგან. თუმცა სერბების ქმედებაც იმავე ხასიათს ატარებდა, ისინი უფრო მძიმე, გენოციდის კატეგორიაში არიან გატარებულნი.

3.2. სერბული და კოსოვარული ნაციონალიზმის შეუთავსებლობა.

სერბულ-ალბანური ანტაგონიზმი გამწვავდა სერბეთის ხელისუფლებაში სლობოდან მილოშევიჩის მოსვლის შემდეგ.-1988 წელს, რომელმაც ნაციონალისტური რიტორიკის გამოყენებით დიდი პოპულარობა მოიპოვა სერბ მოსახლეობაში იუგოსლავიის დაშლის პირობებში. 28 ივნისს 1989 წლის კოსოვოს ბრძოლის მე-500 წლისთავზე მილოშევიჩი სიტყვით გამოვიდა სერბების წინაშე. 1989 წელს სერბეთში ჩატარდა რეფერენდუმი, ახალი კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც მკვეთრად შეამცირა ნაციონალური მხარეების ავტონომია, მილოშევიჩი უდაო ლიდერი გახდა სერბებისა, ის უდაო ლიდერი იყო სერბებისა და იუგოსლავიისა. სამაგიეროდ ავტონომიების უფლებების შემცირებამ მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია კოსოვოში. კოსოვოში ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდა პარლამენტი, რომელმაც 1990 წლის 2 ივლისს მხარე რესპუბლიკად გადააკეთა. სერბეთის ხელისუფლებამ დაშალა ეს პარლამენტი, თუმცა კოსოვოელი დეპუტატები შეიკრიბნენ ქალაქ კაჩანიკში, სადაც 1990 წლის 7 სექტემბერს შექმნეს კოსოვოს რესპუბლიკა. საპასუხოდ სერბეთმა კოსოვოში სახელმწიფო რადიო-სატელევიზიო გადაცემების მაუწყებლობა შეწყვიტა ალბანურ ენაზე, დაიწყო ალბანელების განთავისუფლება სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეწყდა ასევე სწავლება ალბანურ ენაზე, ამან კი გამოიწვია მასობრივი გაფიცვები, საპროტესტო აქციები, ეთნიკური დაპირისპირებები.

მოვლენები, განვითარებული კოსოვოში 1990-წლების შუაში ცნობილია კოსოვოს კრიზისის სახელით. ამავე დროს ეს კრიზისი მხოლოდ ნაწილი და გაგრძელებაა

იუგოსლავიის დაშლისა, დაშლის მეორე ეტაპი იყო იუგოსლავიის რესპუბლიკის კავშირის შექმნა, რომელიც 2 სუვერენული რესპუბლიკისგან: სერბეთისა და მონტენეგროსგან შედგებოდა და თვით სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას აყენებდა კითხვის ქვეშ. ამ კავშირმა იარსება 2003 წლამდე და საფუძველი დაუდო სერბეთ-მონტენეგროს სახელმწიფო კავშირს, რომელმაც იარსება 2006 წლამდე, საიდანაც მონტენეგრო რეფერენდუმის საშუალებით გავიდა.

ურთიერთობის დაძაბვა კოსოვოში 1980-იანი წლების ბოლოს იყო ბიძგი იუგოსლავიის დაშლისთვის. სწორედ ამ დაძაბულობამ მისცა სერბეთის (1989-1997წ.წ.) და იუგოსლავიის (1997-2000წ.წ.) პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს გაეჩაღებინა პოლიტიკური კამპანია დაფუძნებული სერბული ეთნიკური ნაციონალიზმის იდეოლოგიაზე. მან გამოიყენა 2 ნაციონალური მოძრაობის შეჯახება ნაციონალური თვითგამორკვევის პროცესში. პირველ შემთხვევაში ხორვატთა და სერბთა, მეორე კი სერბულ-კოსოვო-ალბანური. შექმნილი ვითარების გამოყენებას აპირებდნენ ალბანეთის ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერები კოსოვოში, თუ ტერიტორიულ სუვერენიტეტს არა, ეთნოტერიტორიული წარმონაქმნის სტატუსის ამაღლებას მაინც მიაღწევდნენ. სერბეთში სოციალურ-პოლიტიკური რევოლუცია გადაიზარდა ნაციონალურ რევოლუციაში, რომელიც იუგოსლავიის დაშლის ფონზე მიდიოდა.

1990 წლისთვის კოსოვოში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა რომ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ამავდროულად იზრდებოდა ალბანელთა ნაციონალისტური მისწრაფებები.

1991 წლის 22 სექტემბერს გამოცხადდა კოსოვოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, დაინიშნა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის და საპრეზიდენტო არჩევნები. 1992 წლის 22 მაისს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელზეც პრეზიდენტად არჩეულ იქნა იბრაჰიმ რუგოვა.

იბრაჰიმ რუგოვა გახდა კოსოვოს ალბანელების დომინანტი 1990 დან 1998 წლამდე, ჰქონდა განსაკუთრებული პიროვნული თვისებები.

კოსოვო გახდა დემონსტრაციებსა და ძალადობაში ჩაძირული 1990 წლის გაზაფხულამდე. ამ დროის განმავლობაში სერბებიცა და ალბანელი პოლიტიკოსებიც

დაკავებულნი იყვნენ მომავლის საძირკვლის შექმნით. კოსოვოში გამოიცა ახალი კანონები, რომლებიც ხელს აძლევდა სერბებს, რათა პროვინციის სტატუსი გაეკონტროლებინათ. ერთ-ერთი კანონის მიხედვით ალბანელები ვეღარ იყიდნენ სახლებსა და მიწებს სერბეთისგან. 1990 წლის მარტში სერბებმა შეიმუშავეს პროგრამა მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის. მათ ჰქონდათ უფლება დაბრუნებულიყვნენ კოსოვოში. ცვლილებები გატარდა სამედიცინო სფეროშიც, 1855 ალბანელი ექიმი და მომსახურე პერსონალი დათხოვნილ იქნა სამსახურებიდან, ადგილობრივი საავადმყოფოები დაიხურა კიდევ, 1300-მა ალბანელმა ჟურნალისტმა დაკარგა სამსახური, დაიხურა კოსოვოს მთავარი ალბანურენოვანი სამაუწყებლო კომპანია მთავარი დრამატული ცვლილებები მოხდა განათლების სფეროში, სერბული სასკოლო ცხრილები უნდა მოერგოთ ალბანელ სტუდენტებს, მოხდა ცვლილებები ისტორიის, გეოგრაფიის, მუსიკის, ენების შესწავლაში. (Judah.T. 2000 გვ 61-63)

ალბანელი მოსწავლეები უარყოფდნენ სწავლების ამგვარ მეთოდს; ეწყობოდა დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები. 1989 წლის 23 დეკემბერს დაფუძნდა კოსოვოს დემოკრატიული ლიგა, რომელიც ალბანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დომინირებდა.

1990 წლის 16 ივლისს სერბების კომუნისტების კავშირი გარდაიქმნა სერბეთის სოციალისტურ პარტიად, რომლის მმართველადაც არჩეულ იქნა მილოშევიჩი. ამის საპასუხოდ კოსოვოელმა დეპუტატებმა ხმა მისცეს კოსოვოს საკუთარი რესპუბლიკის კონსტიტუციას. 1991 წლის 22 სექტემბერს დეპუტატებმა ხმა მისცეს კოსოვოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, 1991 წლის 19 ოქტომბერს “პარლამენტმა“ ხმა მისცა და დაამტკიცა დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა.

კოსოვოს დამოუკიდებლობა რა თქმა უნდა იყო ვირტუალური რეალობა. ქვეყანაში სერბული და იუგოსლავიური ინსტიტუტები დარჩა, მაგრამ დაიწყო ექსპერიმენტები. ჩამოყალიბდა რამოდენიმე პარტია, თუმცა უმთავრესი კოსოვოს დემოკრატიული ლიგა იყო (LDK), LDK-მ თავის რიგებში ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრები შეიყვანა. LDK-მ წარმოქმნა სამთავრობო სტრუქტურა, 1992 წლის 24 მაისს ჩატარდა არჩევნები და კოსოვოს ახალმა პარლამენტმა აირჩია პრეზიდენტი. დემოკრატიულმა ლიგამ აიღო ხმების 76%, პრეზიდენტმა რუგოვამ ხმების 99,5%. ფაქტიურად არავინ გამოსულა მის წინააღმდეგ. არჩევნებმა მისცა ლეგიტიმაცია და მმართველობა რუგოვას და მის

პარტიას. 1992-1997 წლამდე გასაოცარი ამბები ხდებოდა კოსოვოში, რეპერესიები კვლავ გრძელდებოდა. ამ პერიოდში კოსოვომ მიიღო მცირეოდენი ყურადღება დანარჩენი მსოფლიოსგან. ალბანელებს ეშინოდათ, თუკი კონფლიქტი დაიწყებოდა, ისინი გაიდევნებოდნენ თავიანთი სახლებიდან როგორც ბოსნიელი მუსლიმები.(Judah.T. 2000 გვ 64-65)

კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია ნიშნავდა იმას რომ კოსოვო ბოიკოტს უცხადებდა სერბებისა და იუგოსლავიის ინსტიტუტებს. 1992 წელს, მილან პანიკი-იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი მოვიდა კოსოვოში.

მილოშევიჩი ამბობდა რომ პანიკის ეპიზოდი იყო უბედურება და მას იგი უნდა მოემორებინა. თუმცა პანიკის პოპულარობა გასცდა სერბეთს. 15 ოქტომბერს პანიკი ესტუმრა პრიშტინას და შეეცადა საქმე დაეკავებინა რუგოვასთან და LDK-თან. მილოშევიჩის ოპონენტები ამბობდნენ რომ მილოშევიჩმა ძალიან წარმატებით დაანგრია იუგოსლავია და ის ასევე დაანგრევდა სერბეთსაც. ჩვენ კი სერბეთის დანგრევა და ომში წასვლა არ გვინდაო. (Judah.T. 2000 გვ 66-67) კოსოვოელებსაც სურთ მიაღწიონ დამოუკიდებლობას ძალადობის გარეშე. პრობლემა არ არის მხოლოდ მილოშევიჩის დასუსტება და პანიკის დახმარება, არამედ რაიმე გამოსავლის პოვნა. ასევე სერბებს უნდა გაეანალიზებინათ მათი რეალური უფლებები. ადამიანურმა უფლებებმა კოსოვოში მიიღო საინტერესო განზომილებები, პირველ რიგში კოსოვოელებმა დაარწმუნეს დასავლელები რომ ისინი იცავდნენ თავიანთ უფლებებს, ადამიანური უფლებები გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

1992 დან 1993-ში CSCE-ს ჰქონდა მცირე მისიები კოსოვოში, აკვირდებოდნენ აქ მიმდინარე პროცესებს. ამას გარდა ადამიანური უფლებების დარღვევის პერიოდში, 1997 წელს ივლისიდან სექტემბრამდე დაითვალეს 3 მკვლელობა, 3 დისკრიმინაცია და სხვა შემთხვევები.

3.3. კონფლიქტის ესკალაცია

მძიმე პერიოდი იყო კოსოვოში 1990-იან წლებში. დეიტონის კონფერენციიდან, რომელიც დამთავრდა ბოსნიის ომით, პროვინცია ელოდებოდა სტაბილურობას. მაგრამ ამავე პერიოდში ხდებოდა შეტაკებები პოლიციასთან, ხალხი იყო გაბრაზებული და შეშინებული. კოსოვოელები იყვნენ სერბებზე უკეთ ინფორმირებულები. კოსოვოელებს არ სურდათ სატელევიზიო პროგრამების ყურება, ისინი უყურებდნენ ალბანურ ტელევიზიებს და კოსოვოს სიახლეებს. მნიშვნელოვანი იყო ასევე საგაზეთო სტატიებიც. (Judah.T. 2000 გვ. 91-92)

ლონდონის კონფერენციის დროს 1992 წელს იუგოსლავიის რესპუბლიკის ლიდერები შეიკრიბნენ რომ ესაუბრათ მშვიდობაზე. კოსოვოს პრობლემამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, ის უნდა განხილულიყო სწორედ საერთაშორისო ფორუმებში. სერბები და ალბანელები უნდა შეთანხმებულიყვნენ რომ თავიდან აეცილებინათ ომი და ძალადობა.

მშვიდობიანად დამოუკიდებლობის მოპოვება ნიშნავდა, რომ ბოროტებას აიცილებდნენ თავიდან, ალბანელებს სურდათ ომის თავიდან აცილება, მათი პრიორიტეტი იყო კონფლიქტის მოგვარება, ფაქტი რომ კოსოვოში ჯერ კიდევ არ დაწყებულა ომი, დამყარებული იყო სხვადასხვა ფაქტორებზე.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის მოთხოვნით პირველი სერიოზული გამოსვლები როგორც ვიცით 1981 წელს დაიწყო, რომელიც იუგოსლავიის ჯარებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აქციის ორგანიზატორები ალბანეთის კომუნისტი ლიდერის ენვერ ჰოჯას მიმდევრები იყვნენ და მათ ენვერისტებს უწოდებდნენ. პროტესტის ჩახშობის შემდეგ ენვერისტების ლიდერები ემიგრაციაში, შვეიცარიაში და გერმანიაში წავიდნენ. მათ იქ ჩამოაყალიბეს კოსოვოს რესპუბლიკის სახალხო მოძრაობა (LPRK), რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვებას ძალისმიერი ხერხებით გეგმავდა.

1993 წელს კოსოვოს დრენიცას რაიონში საიდუმლო შეხვედრა მოეწყო, სადაც LPRK ორად გაიყო: კოსოვოს გათავისუფლების ეროვნულ მოძრაობად (LKCK) და კოსოვოს სახალხო მოძრაობად (LPK). მოგვიანებით, LPK სახელს შეიცვლის და კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია (KLA) გახდება.

რაც შეეხება მილოშევიჩის იგი ატარებდა შეხვედრებს და საუბრობდა კოსოვოსთან დაკავშირებით ჰოლბრუკთან; თავის საუბრებში მან თქვა, რომ ის ემზადებოდა რუგოვასთან შესახვედრად. რუგოვამ გაიარა კონსულტაციები LDK-ს ლიდერებთან და 15 მაისს ბელგრადში შეხვდა მილოშევიჩს. 29 მაისს რუგოვა ჩავიდა ვაშინგტონში და შეხვდა პრეზიდენტ კლინტონს. კლინტონი შეხვედრაზე იყო კონცენტრირებული იმაზე რომ ისინი უკვე ვეღარ გააგრძელებდნენ საუბარს მილოშევიჩთან. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. (Judah. T. 2000 გვ142)

სერბებმა საბოლოოდ გაილაშქრეს KLA-ს წინააღმდეგ. კონფლიქტის გამწვავების მთავარ დღეს, KLA-ს მებრძოლებმა ალყა შემოარტყეს სერბულ პოლიციას ერთ-ერთ სოფელში. ამავე დროს ბრძოლა დაწყებული იყო დეკანის მონასტრის ახლოს. შემდეგ შენიღბული პირი თავს დაესხა გზად მიმავალ მუშებს, ერთი მოკვდა და ოთხიცი დაიჭრა. მთელი ქალაქი, სადაც მონასტერი მდებარეობდა გაეხვია ცეცხლში. სერბები ჯერ კიდევ არ გაუჩინარებულან კოსოვოდან, მაგრამ ეკლესიის მსახურები იყვნენ შეშინებულები ცუდის მოლოდინში.(Judah.T. 2000 გვ 158)

ამერიკას სჭირდებოდა კიდევ სხვა მოქმედი პირები, რომ გაეტარებინათ აქტიური სვლები. ამის გამო OSCE და EU-მ დანიშნა ფილიპი გონსალესი ესპანეთის პრემიერი სპეციალურ დესპანად. დაიწყო ცენტრალური კოსოვოსა და ალბანური საზღვრის გაკონტროლება. ამ დროის განმავლობაში არ ჰქონდა KLA-ს დაკავებული რომელიმე ქალაქი, სერბები კვლავ რჩებოდნენ მთავარ ხაზზე. რუგოვას პოლიტიკის მარცხმა კოსოვოელები მზადყოფნაში დატოვა, რომ სამხედრო ბაზები გაეძლიერებინათ. თუმცა ხალხი მაინც რუგოვას მიყვებოდა. მასზე ამბობდნენ „მან იცის რაც არის უკეთესი ჩვენთვის, ის ჩვენი სინათლეა“. ჰოლბრუკი ცდილობდა მოლაპარაკებების დაწყებას ბელგრადსა და პრიშტინას შორის, ის ამბობდა რომ კოსოვოში არის არმია, რომელიც გაანთავისუფლებს ხალხს. ჩვენი სამსახური არის ის რომ, გავანთავისუფლოთ მთლიანად კოსოვო, ალბანელები, მაკედონიელები, მონტენეგროელებიც კი.

11 საათზე ზუსტად სოფელ ობრინიეში, პრიშტინიდან 40 წთ-ის სავალზე გაისმა არტილერიის ხმა. ატმოსფერო იყო ძალიან რთული. რიჩარდ ჰოლბრუკი იჩქაროდა პრიშტინაში იმისთვის, რომ საუბარი ჰქონოდა რუგოვასთან. საღამოს პრიშტინას კაფე სავსე იყო ხალხით, არავინ იცოდა რა ხდებოდა ან რა უნდა მომხდარიყო,

ჟურნალისტებთან დაკავშირებით ამბობდნენ რომ ყველანი ტყუოდნენ. ბოლოს გაბრაზებულმა პოლიციელმა თქვა-„ჩვენ უნდა დავასრულოთ ყველა ალბანური ტერორისტული შემთხვევა 24 სთ-ში“ (Judah.T. 2000 გვ 148). დასავლელი ლიდერები კი სწავლობდნენ გაკვეთილებს ბოსნიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ამის შემდეგ გამწვავდა შეტაკება პოლიციასა და ალბანელებს შორის. ჩიოდნენ რომ 1996 წელს 31 შეტაკება მოხდა KLA-თან, ხოლო 1997 წელს-55.

კოსოვოში მიმდინარე ფაქტებმა გამოიწვია ჟურნალისტების ფართო გამოხმაურება, ძალადობა იზრდებოდა და მეტად საშიში ხდებოდა. რუგოვას რაც შეეხება მას უნდა ემოქმედა, მიექცია საერთაშორისო ყურადღება, მაგრამ მან თითქმის არაფერი არ გააკეთა. ბრძოლა დაიწყო 11 სთ-ზე 28 თებერვალს; პოლიციამ ალყა შემოარტყა ერთ-ერთი აქტივისტის სახლს მისი აყვანის მიზნით, სახლიდან არავინ გამოვიდა, რამაც გაამძაფრა სროლა, საბოლოო ჯამში 58 ადამიანი დაიღუპა, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით. KLA კი კვლავ აგრძელებდა მოღვაწეობას. ამ მოვლენამ კოსოვო ააღელვა. აღელვება მასებს მოედო და გამოიწვია დემონსტრაციები პროვინციაში. KLA-ს ლიდერი ამბობდა რომ თუ პოლიცია ჩვენ არ დაგვაკავებს, ჩვენ მაშინ ტერორისტებად გამოგვაცხადებენო. (Judah. T. 2000 გვ.140) კოსოვოში ხალხი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ისინი ამბობდნენ-თუ მათ სურთ ომი, ისინი მიიღებენ ომს, ხოლო თუ მშვიდობა სურთ-მიიღებენ მშვიდობას, მაგრამ თუ მათ სურთ ომი, რაც გარდაუვალი იქნება- ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო. (Judah T. 2000 იქვე) პარალელურად სერბეთსა და იუგოსლავიაში იმდენად იყო სიტუაცია დამაბული რომ ბევრი სერბი აპროტესტებდა ქვეყანაში არსებულ რეჟიმს, 1996-ში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა, სადაც ოპოზიციური პარტიები კარგი შედეგებით გამოდიოდნენ. თანდათან ცხადი ხდებოდა რომ მილოშევიჩი დაკარგავდა ძალაუფლებას. თუ სერბი ოპოზიცია გაიმარჯვებდა და მოიპოვებდა სათანადო ადგილებს მილოშევიჩის ძალაუფლება შესუსტდებოდა. რეალურადაც ასე ხდებოდა. 88-დღიანი შთამბეჭდავი და ენერგიული დემონსტრაციების შემდეგ ის დანებდა. ოპოზიციამ მოიპოვა დიდი გამარჯვება. ეს მოვლენები თავის მხრივ აიასახებოდა კოსოვოზეც. თითქოს ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდიოდა. 1998 წელს KLA-მ გადაწყვიტა რომ სერიოზული გამოსვლებისა და საჯაროობის დრო დადგა. მოვლენა გლობალური იყო. 1997 წელს

სტუდენტები პრიშტინაში გამოვიდნენ საპროტესტო აქციით. ასევე დემონსტრაციები ტარდებოდა პროვინციის სხვა ნაწილებშიც. ამ პერიოდისთვის ალბანეთი, როგორც სახელმწიფო და ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ალბანელები გამოდიოდნენ ქუჩებში და გამოხატავდნენ თავიანთ სიბრაზეს პრეზიდენტ ბერიშას წინააღმდეგ. პრობლემა ის იყო, რომ დემოკრატიული პარტია და სოციალისტები უპირატესობით სარგებლობდნენ, რადგან მათ ჰქონდათ ფონდები და შემოწირულობები, ხოლო ხალხი იძულებული იყო დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და სამუშაოდ საბერძნეთში ან იტალიაში წასულიყვნენ. ქვეყანაში წარმოიქმნა ქაოსი, მთავრობამ დაკარგა თავისი კონტროლი და არმიაც დაიშალა, პოლიცია კი გაიქცა. ასეთ დროს აუცილებელი იყო ალბანეთისთვის რომ ხალხს ებრძოლა ყველა გზით და ყველა მნიშვნელობით თავისუფლებისთვის.

მას შემდეგ რაც ომი ხორვატიასა და ბოსნიაში დაიწყო, მცირეოდენი სერბი ლტოლვილები გადავიდნენ კოსოვოში. 1996 წლის 14 თებერვალს კომუნიკე ამბობდა, რომ პარტიზანები გაერთიანდნენ KLA-ში და დაიწყეს მოქმედება სერბული კოლონისტების წინააღმდეგ, KLA კვლავ შეიცავდა 150 კაცს.

მიუხედავად იმისა რომ KLA-ს შეტაკება სერბულ პოლიციასთან და ალბანელების თანამშრომლობა სპორადული იყო, მაინც ხდებოდა თავდასხმები მნიშვნელოვან ფიგურებზე, ხშირად მათი სიცოცხლის ხელყოფით.

დეიტონში კი საუბარი მიმდინარეობდა რიჩარდ ჰოლბრუკთან, იგი ამერიკის სპეციალური დესპანი იყო. შეთანხმება მოხდა ბოსნიასა და აღმოსავლეთ სლოვენიასთან, ბოსნიის საზღვრები რეალურად არ იცვლებოდა, მაგრამ რესპუბლიკა ორი შემადგენელი ნაწილის მიხედვით იყო ცნობილი- მუსლიმი ხორვატებისა და სერბების რესპუბლიკა-სრპსკა-თი. ყველა მხარე უკვე დაღლილი იყო და სურდათ მოლაპარაკება. ჰოლბრუკი ატარებდა მოლაპარაკებებს. მისი წიგნი იყო დეიტონის მემუარები, რომელსაც ერქვა ბრძოლის დასასრული, თავისი მემუარების ბოლოს ის წერს რა მოხდა კოსოვოში. დეიტონმა საბოლოო ჯამში მიაღწია წარმატებას, შეცდომების მიუხედავად, ომი დასრულდა. დეიტონის წარმატება დაკავშირებული იყო სხვადასხვა ფაქტებთან. სერბებს რაც შეეხებათ, მას შემდეგ რაც ბომბებმა დაიწყეს ჩამოვარდნა,

ისინი მოითხოვდნენ მშვიდობას, რომ ომი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო. (Judah.T. 2000 გვ 131-134)

ყველა დაღლილი იყო უკვე და ელოდნენ საერთაშორისო დახმარებას. ბრიტანელების და ფრანგების ჯარები სერბეთის ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებულნი და აწვდიდნენ მათ საკვებსა და დახმარებას. კოსოვოს ომის დროს, ასევე უნდა აღვნიშნოთ რომ კოსოვოელები ურთიერთობას აწარმოებდნენ დასავლეთ პოლიტიკოსებთან იმისთვის რომ განესაზღვრათ სერბებთან ურთიერთობა, როდესაც ეს კოსოვოს სჭირდებოდა.

რადგანაც დეიტონის კონფერენცია არ იყო საკმარისი კოსოვოელებისთვის რომ დაევიწყებინათ რაც მოხდა, ამის გამო კონფლიქტში ჩაერთო ევროპის ქვეყნები. ასევე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაბლოკა იუგოსლავია რომ დაბრუნებოდა მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო მონეტარულ ფონდს. ე.ი. იუგოსლავიის საფინანსო სისტემამ დიდი მარცხი განიცადა. იუგოსლავია IMF-ში აღარ დაბრუნებულა.

KLA-ს რაც შეეხება მისი წარმოქმნიდან 1993 წლიდან პარტია ნელ-ნელა იზრდებოდა, თავდაპირველად ისინი იყვნენ უმნიშვნელოები და მალევე დაიწყეს განვითარება.

რაც აკავშირებდა ყველა ადამიანს LPRK-თან და შემდეგ LPK-თან არ იყო მხოლოდ მისი წევრობა, თითოეული მათგანი იბრძოდა თავისი სამშობლოსთვის. დაახლოებით 150 აქტიური KLA-ს წევრი ირიცხებოდა კოსოვოში 1997-ში. კოსოვოში მცირეოდენმა რიცხვმა გადაწყვიტა ომი ეწარმოებინათ სერბეთის წინააღმდეგ, ეს არ ხსნის იმას თუ როგორ და რატომ დაიწყო ომი. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ დეიტონის კონფერენცია 1995 წელს და მეორე ალბანელების ანარქიაში გადაშვება 1997 წლის გაზაფხულზე. (Judah. T. გვ 120-126)

3.4. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და მისი შედეგები

1998 წლის ბოლოს ნატომ და განსაკუთრებით აშშ-მ დაიწყო მოწოდებები იუგოსლავიელი ოფიციალური პირების მისამართით, გამოეყვანათ სამხედრო ძალები რეგიონიდან, ვინაიდან ეთნიკური ალბანელების მასობრივმა გაძევებამ ალბანეთში, ბოსნიასა და მაკედონიაში კიდევ უფრო გაამწვავა და გააუარესა ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები ისედაც არასტაბილურ ქვეყნებში.

კონფლიქტში აქტიურად იყო ჩართული ასევე გაერო. გენერალური მდივანი კოფი ანანი გამუდმებით აცხადებდა რომ ნებისმიერი სამხედრო ქმედებისათვის საჭირო იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატი. ამ დროს, ბალკანეთში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო დესპანად მივლენილ იქნა რიჩარდ ჰოლბრუკი, ხოლო ევროკავშირის მხრიდან-იუგოსლავიაში ავსტრიის ელჩი ვოლფგანგ პეტრიჩი. ევროპელმა და ამერიკელმა დიპლომატებმა არაერთი ვიზიტი განახორციელეს ბელგრადში და მოუწოდებდნენ მილოშევიჩის ძალადობის დასრულებისკენ. ამავდროულად ნატო გეგმებს ამზადებდა და ალიანსის იმდროინდელ გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას ძალის გამოყენების მანდატს აძლევდა.

1999 წელს დიპლომატიური შესაძლებლობები ამოიწურა-კოსოვოში იუგოსლავიის სამხედრო ძალები გაიზარდა. ნატოს საჭაერო თავდასხმა 1999 წლის მარტში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არანაირი მანდატი გაცემული არ ყოფილა. ძალის გამოყენების შესახებ რეზოლუცია რუსეთმა დაბლოკა. ოპერაციაში, რომელსაც ძირითადად აშშ ახორციელებდა, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანაც იღებდა მონაწილეობას, თუმცა მათი ქმედებები არ ხორციელდებოდა კავშირის ფარგლებში. კოსოვომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ ევროკავშირის შესაძლებლობები, არამედ გაეროს ლეგიტიმაციის საკითხიც, ვინაიდან ეს იყო ცივი ომის შემდგომი პერიოდის პირველი შემთხვევა, როდესაც სამხედრო ძალა არალეგალურად, გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე იქნა გამოყენებული.

კოსოვოს კონფლიქტში ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაერთო 1999 წლის აპრილში, როდესაც იგი დაეთანხმა გაეროს მოწოდებას, შეეწყვიტა ნავთობპროდუქტების მოწოდება მისი წევრი ქვეყნების გავლით იუგოსლავიისთვის. ევროკავშირმა ასევე 20 მილიონი ევრო გამოუყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს

კომისარიატს, რეგიონში დახმარების გასაწევად. ამ პერიოდში გერმანიის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა წარადგინა „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაკტი“. ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო, კერძოდ კი საბერძნეთი და დიდი ბრიტანეთი, აღნიშნულ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ და რეგიონის სტაბილურობის საკუთარი გეგმები გააჩნდათ. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და პოლიტიკური ვაჭრობის შემდეგ პაკტს ხელი მოეწერა 1999 წლის ივნისში.

კოსოვოს კონფლიქტში მთავარ როლს ნატო თამაშობდა. სამხედრო ოპერაციებს ძირითადად აშშ და დიდი ბრიტანეთი ახორციელებდნენ. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს რომ სწორედ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერის მოწოდებებმა დაარწმუნა კლინტონის ადმინისტრაცია, ძალის გამოყენებით ეპასუხა კოსოვოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისთვის. ამან კიდევ ერთხელ აჩვენა ევროკავშირის შიგნით არსებული უთანხმოება-დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდა ინტერვენციას, მაშინ როდესაც სხვა წევრი სახელმწიფოები საკითხისადმი ძირითადად თავშეკავებას ამჯობინებდნენ. მაშასადამე აქტივობა მოდიოდა არა ევროკავშირიდან, არამედ მისი წევრი ქვეყნების დედაქალაქებიდან და მთავრობებიდან. რეგიონის სტაბილიზაციის მიზნით ევროკავშირმა ორი დამატებითი ინიციატივა გაატარა.

1. მათ შეიმუშავეს საკუთარი გეგმა-„სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც გარკვეულწილად მოწოდება იყო რეგიონის ქვეყნებისთვის ევროკავშირის შემდგომი წევრობისკენ.
2. ევროკავშირმა დაარსა რეკონსტრუქციის სააგენტო, რომელიც ქ. სალონიკში მდებარეობდა. სააგენტოს ძირითადი საქმიანობა რეგიონის ქვეყნებში დახმარების სწრაფი და ეფექტური გადანაწილება წარმოადგენდა.

ახალ სააგენტოს კოსოვოს რეკონსტრუქციით უნდა დაეწყო თავისი საქმიანობა, თუმცა თანდათანობით მთელი ყოფილი იუგოსლავია უნდა მოეცვა. საბოლოოდ კი, სააგენტოს აქტივობებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო სერბეთიდან პროვინციის (კოსოვო) გამოყოფის ახალ ეტაპს, რამაც სათავე დაუდო მის გზას დამოუკიდებლობისკენ.

1999 წლის ივნისში ნატოს კამპანია შეწყდა. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ რატიფიცირებული სამშვიდობო შეთანხმებით მხარეებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო. აღნიშნულ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს რეგიონის საბოლოო სტატუსის გარკვევა წარმოადგენდა. რეკონსტრუქციისა და განვითარების ინიციატივების განხორციელების შემდეგ ევროკავშირმა რეგიონის სტატუსის დიპლომატიურ განსაზღვრაზე დაიწყო მუშაობა.

2006 წელს აშშ-მ მოუწოდა გაეროს, შეემუშავებინა გეგმა კოსოვოს სტატუსის საბოლოო განსაზღვრისთვის, რომელიც რვა წლის განმავლობაში გაეროსა და ევროკავშირის მანდატის ქვეშ იყო. ვინაიდან იმ დროისათვის გაეროს საგანგებო დესპანი კოსოვოში მარტი აპტისაარი(1994-2000 წლებში ფინეთის პრეზიდენტი, გაეროს დიპლომატი და მედიატორი) იყო, სწორედ მას დაევალა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გონივრული გეგმის შემუშავება. რუსეთის გარდა, რომელიც სერბეთს უჭერდა მხარს, თითქმის მთელი მსოფლიოსთვის ცხადი იყო რომ 90 % ეთნიური ალბანელი მოსახლეობაა სერბეთის შემადგენლობაში არ დარჩებოდა. აპტისაარის მიერ შემუშავებულ გეგმას მხარს არ უჭერდა ოფიციალური ბელგრადი და მოსკოვი. რუსეთმა უშიშროების საბჭოს მოლაპარაკებები შეაჩერა და უფრო მეტი დრო მოითხოვა სერბეთსა და კოსოვოს შორის მოლაპარაკებებისათვის. ამასობაში კოსოვო დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარებით იმუქრებოდა და ვინაიდან მოლაპარაკებები ჩავარდა, ხოლო სერბეთი ფორმალური დროებითი შეთანხმების წინააღმდეგი იყო, 2008 წლის 17 თებერვალს პრიშტინამ დამოუკიდებელი კოსოვოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამოაცხადა.

საკასუხო რეაქციაში ევროკავშირი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა შეზღუდული. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე ევროპული სახელმწიფოები კონსესუსამდე ვერ მივიდნენ; აღიარების შემდეგ კი ვინაიდან კვლავ შეუძლებელი იყო ერთიანი პოზიციის დაფიქსირება, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, წევრი სახელმწიფოებისთვის დაეტოვებინათ ახალი სახელმწიფოს აღიარების პრეროგატივა. განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ესპანეთს, სლოვაკეთს, კვიპროსსა და რუმინეთს, ვინაიდან მათ არ სურდათ თავიანთი ეთნიკური უმცირესობებისათვის დამოუკიდებლობის აღიარების ლეგალური პრეცედენტი მიეცათ.

ზემოთმოცემული მაგალითით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყნებისათვის დომინანტური კვლავ მათი ეროვნული ინტერესები იყო. ერთიან საგარეო პოლიტიკაში კონსესუსის მიღწევა შეუძლებელი იყო, რაც თავისმხრივ ასუსტებდა ევროკავშირის საერთაშორისო მდგომარეობას ისე როგორც ეს 1999 წელს მოხდა.

კონკრეტული ქვეყნების ქმედებებმა კიდევ ერთხელ გაამყარა მტკიცებები, რომ კოსოვოსთან მიმართებაში ევროკავშირი მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოთა უბრალო ასოციაცია, დატოვა რა ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა.

1999 წელს ევროკავშირის უმოქმედობა ძირითადად პოლიტიკური სურვილის უქონლობით იყო განპირობებული, ხოლო 2008 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნები სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყვნენ.

ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის ვესტფალიური პარადიგმისადმი ერთგულებამ გამოიწვია სწორედ ის, რომ ევროკავშირმა ვერ მოახერხა კოსოვოს საკითხში ერთსულოვნების შენარჩუნება.

1999 წელს ევროკავშირის არაერთიანობამ კოსოვოს სტატუსი ღიად დატოვა. ერთიანი პოლიტიკის სისუსტემ 1998 წელს კვლავ ხელუხლებელი დატოვა ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით. შედეგად 1999, ისევე როგორც 2008 წელს კოსოვომ ნათლად აჩვენა ევროკავშირის სამთავრობათაშორისი ხასიათი და ეროვნული ინტერესების უპირატესობდა ევროკავშირის ერთიან საგარეო პოლიტიკასთან შედარებით.

4. კონფლიქტის შემდგომი კოსოვო

4.1. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და აღიარება.

კოსოვოს რესპუბლიკა 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს პარლამენტის მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტის შედეგად გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 2008 წლის 18 თებერვალს. ამ დღეს პრემიერ-მინისტრმა პაშიმ ტაჩიმ დეპუტატებს სიტყვით მიმართა, მან მხარის ნაციონალურ უმცირესობებს, მათ შორის სერბებს უსაფრთხოების გარანტია მისცა, სერბები ამ დროისთვის მოსახლების 10%-ს შეადგენდნენ. ასევე დაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება გეგმის შესრულებაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა “კოსოვოს საკითხის“ მოგვარების, საქმეში გაწეული წვლილისთვის.

მხარის პრეზიდენტმა ფატრიმ სედიუმ განაცხადა რომ კოსოვოს აქვს მისწრაფებები ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისათვის. პაშიმ ტაჩიმ პარლამენტარებს გააცნო კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია; შემდეგ კენჭისყრაზე დააყენეს მხარის დამოუკიდებლობის საკითხი; ყველა დეპუტატმა დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. მიიღეს ასევე კოსოვოს გერბი და დროშა. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მაშინვე მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოდან 15 წევრიდან ხუთმა თანხმობა გამოუცხადა კოსოვოს დამოუკიდებლობას.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიესალმა კოსოვოს დამოუკიდებლობას. აღიარა რომ მას ახარებს კოსოვოელთა მზაობა სერბების უფლებების დაცვისათვის, ასევე თვლის, რომ სერბეთს და ევროპას აქვს საერთო ინტერესები და სერბეთს შეუძლია ამერიკა მიიღოს როგორც მეგობარი.

ევროკავშირის ქვეყნებიდან პირველმა საფრანგეთმა გამოთქვა მზაობა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების, მას შეუერთდნენ: დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, ფინეთი. ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 17-მა აღიარა კოსოვო, მხოლოდ ესპანეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, სლოვაკეთი და რუმინეთი წინააღმდეგები არიან აღიარებისა. არ ცნობის მიზეზი მარტივია: ზემოთჩამოთვლილ სახელმწიფოებს აქვთ

თავიანთი რეგიონები ან პროვინციები, რომლებიც დამოუკიდებლობას ითხოვენ, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება კი მათი მხრიდან თანხმობა იქნება საკუთარი ქვეყნის დაშლისათვის, განსაკუთრებით ფეთქებად საშიშია ესპანური საქმე.

რუსეთი არ უჭერს მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, მეტიც ყოველმხრივ ემხრობიან სერბეთის მთავრობას, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ითხოვს.

საქართველო ასევე არ აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას.

კოსოვოს აღიარების შემდეგ აფხაზეთის მთავრობამ განაცხადა რომ მიმართავდა რუსეთის პარლამენტსა და გაეროს მისი დამოუკიდებლობის აღიარებისთვის.

4.2. სერბეთის რეაქცია კოსოვოს აღიარებაზე და თანამედროვე

პოზიცია

კოსოვოს დამოუკიდებლობა მიუღებელი იყო და არის სერბეთის რესპუბლიკისთვის.

სერბეთის კონსტიტუციის მიხედვით, კოსოვოს ტერიტორია წარმოადგენს სერბეთის რესპუბლიკის ნაწილს და შედის მის შემადგენლობაში როგორც კოსოვოს ისე მეტოპიის ავტონომიური მხარე. სერბეთის ხელისუფლება ფაქტურად კოსოვოს ვერ აკონტროლებს, მაგრამ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილი რომელიც დასახლებულია სერბებით არ ემორჩილება პრიშტინას.

სერბეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვოისლავ კოშტუნიცამ კოსოვოს ცრუ-თვითაღიარებული სახელმწიფო უწოდა სერბეთის ტერიტორიაზე. აქ კოსოვოსა და სერბეთს შორის თავიდან არავითარი ოფიციალური ურთიერთობა არ არსებობდა, ამაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო საზოგადოება. იმართება სხვადასხვა სამიტები მდგომარეობის გამოსწორებისთვის, სერბეთის მიერ კოსოვოს აღიარებისთვის. კოშტუნიცამ მოუწოდა სერბებს ებრძოლათ კოსოვოს გამოყოფის წინააღმდეგ, მხოლოდ არაძალადობრივი გზით. სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა განაცხადა რომ ქვეყანა ყველა დიპლომატიური და კანონიერი მეთოდებით ეცდება კოსოვოს ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობის ანულირებას.

გერმანია და საფრანგეთი უკვე რამოდენიმე წელია ცდილობენ სერბეთისა და კოსოვოს დიპლომატიურ დაახლოებას, სხვადასხვა საკითხების გადაჭრას, თუმცა ეს მცდელობები ხშირად კრახით მთავრდება, ასე იყო მაგალითად ბერლინის სამიტზე, რომელიც მაისში გაიმართა ბერლინში, აქ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას კოსოვოელ ალბანელებთან მოეხსნათ ტარიფები სერბულ პროდუქტზე. წარუმატებლობამ კი გააღრმავა წინააღმდეგობა ერთის მხრივ ბერლინსა და პარიზს და ბრიუსელს შორის, მეორეს მხრივ კი სერბეთსა და კოსოვოს შორის.

როგორც ალბანეთის ახალი ამბების სააგენტო-„ტელეგრაფი“ აღნიშნავს, სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დარწმუნებულია რომ ზეწოლა კოსოვოს აღიარების საკითხზე კვლავ გაგრძელდება, თუმცა ბელგრადი უკვე შეჩვეულია ზეწოლას და თავის პოზიციას არ შეცვლის. მაგრამ ამავე დროს სერბეთი მზადაა დიალოგისთვის, ვინაიდან დიალოგი არის ერთადერთი სწორი და რაციონალური გადაწყვეტილება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სერბეთის პრემიერ მინისტრსა და პრეზიდენტს ქვეყანაში ჰყავს ოპოზიცია, რომელიც კატასტროფულად გამორიცხავს კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას, მაგ: ოპოზიციური პარტიის „კარების“ ლიდერი ბოშკო ობრადოვიჩის განცხადებით კოსოვო არ იქნება დამოუკიდებელი, სანამ არსებობს საერთაშორისო სამართალი და გაეროს უშიშროების საბჭოს N1244 რეზოლიცია, იგი მკაცრად აკრიტიკებს პრეზიდენტ ალექსანდრე ვუჩიჩის პოზიციას და ასეთ კომენტარს აკეთებს „ეს რომ მხოლოდ ვუჩიჩზე იყოს დამოკიდებული კოსოვო კარგა ხანია დამოუკიდებელი იქნებოდა. მიუხედავად მრავალი მცდელობისა კოსოვო არასოდეს იქნება დამოუკიდებელი“. თავის მხრივ პრეზიდენტი ვუჩიჩი სერბეთის ოპოზიციის ნაწილს პირიქით ადანაშაულებს, რომ არ აქვთ სურვილი ე.წ. „შიგა დიალოგისა“, კოსოვოსა და მეტოქიაზე. ასევე ადანაშაულებს საზოგადოებას, რომლის აზრითაც გამოკითხვების მიხედვით ვუჩიჩის მიერ ინიცირებული კოსოვოსა და მეტოქის გაყოფა ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია, ეთნიკური დასახლებულობის მიხედვით.

4.3. კოსოვოს პრეცედენტი: შედარება აფხაზეთის კონფლიქტთან.

აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტებს ბევრი რამ აერთიანებთ, თუმცა მათ შორის ბევრი განსხვავებაც არის. აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტები განვითარდა, შესაბამისად კავკასიისა და ბალკანეთის რეგიონებში, რომლებიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის ადგილებია. როგორც კავკასია ისე ბალკანეთი ერთმანეთთან აკავშირებს ევროპისა და აზიის სხვადასხვა რეგიონებს. ორივე ეს რეგიონი დასავლური, რუსული და თურქული ინტერესების ობიექტს წარმოადგენს. ამ აქტორებისგან ნებისმიერს გააჩნია მისეული ხედვა აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტების მოგვარებისა და შესაბამისად ცდილობს ამ ხედვის რეალობად ქცევას. ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, კერძოდ იმაზე თუ რა სახით ახდენს გავლენას ორ კონფლიქტში მონაწილე მხარეების ინტერესები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ეფექტურ რეალიზაციაზე.

როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევებით, მოსახლეობის ფართომასშტაბიანი დეპორტაციებითა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის ფაქტებით. აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულებები მიმართული იყო ქართულ მოსახლეობაზე. ეუთო-ს, ბუდაპეშტისა და ლისაბონის შეხვედრების დასკვნით დოკუმენტებშიც დადასტურდა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებებსა და ეთნიკურ წმენდას. კოსოვოში ამათგან განსხვავებით, დანაშაულები ჩადენილ იქნა ალბანური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ და განხორციელდა მმართველი სერბული რეჟიმის მიერ. ასევე დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია კოსოვოს შემთხვევაში გაცილებით უფრო ფართო და რადიკალური იყო, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში. ორივე შემთხვევისთვის საერთო გარემოება მდგომარეობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შექმნაში. აქედან გამომდინარე, ძირითადი საკითხი, რომელიც ამ მიმართულებით უნდა იქნას გამოკვლეული, არის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები ეთნიკურ კონფლიქტებზე განსხვავებული ფორმებით რეაგირებისას. სწორედ ტერიტორიული საკითხები არის როგორც კოსოვოს, ისე

აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილეთა ძირითადი ინტერესებისა და განსხვავებული პოზიციების საფუძველი, ხოლო სხვა საკითხები, როგორცაა ადამიანის უფლებები, საერთაშორისო დამნაშავეთა დასჯა და ლტოლვილთა დაბრუნება, წარმოადგენს ტერიტორიულ საკითხებთან მიმართებაში კონფლიქტის მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის მცდელობების შედეგს.

როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტების მიმდინარეობისას, წინა პლანზე იქნა წამოწეული აფხაზეთისა და კოსოვოელი ალბანელების თვითგამორკვევის უფლების საკითხი. ორივე შემთხვევაში მოთხოვნები ავტონომიური მმართველობიდან ამ მოსახლეობათა სრულ დამოუკიდებლობამდე ვარირებდა. როგორც აფხაზეთი, ისე კოსოვოელი სეპარატისტების მიერ მათი სრული დამოუკიდებლობის მხარდაჭერი პოზიცია უკომპრომისოა და იმაში მდგომარეობს, რომ ვერ გააგრძელებენ საქართველოსა და იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოების შემადგენლობაში ცხოვრებას, რომ კოსოვო ვერ აღდგებოდა იუგოსლავიის შემადგენლობაში. (ორახელაშვილი. ა. 2004 გვ. 44-55) ასე რომ, უნდა გავარკვიოთ თუ როგორ პასუხობს საერთაშორისო სამართალი ამ სიტუაციებს, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული ერთობის დაცვას ხელი ეშლება ეთნიკური კონფლიქტის შედეგად.

ტერიტორიული კონტროლი როგორც ვიცით წარმოშობს სახელმწიფოს იურისდიქციას და ეს ფაქტორი გადამწყვეტია სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისთვის. თუ სახელმწიფო კარგავს არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უნარს. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძველია.

გაეროს წესდების მუხლი 2(4) კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი წესით დარღვევას. ადასტურებენ იმას რომ, თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სრული ან ნაწილობრივი ხელყოფა სანქციონირებული არ არის.

1970 წლის დეკლარაცია სეცესიის ერთადერთ პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სახელმწიფოში არ არსებობს მთავრობა, რომელიც არჩეულია ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც თავის თავს ხალხად მიიჩნევს, სახელმწიფოდან

გამოყოფა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის წარმომადგენლებს არ ეძლევათ ცენტრალური მთავრობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ტერიტორიული ავტონომიის საკითხი საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს მიღმაა. როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში საქართველოს და იუგოსლავიას გამუდნებით წაეყენებოდათ და წაეყენებათ მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნდა მიიღონ საკუთარი ტერიტორიული მოწყობის ესა თუ ის ფორმა და მოდელი. იუგოსლავიისგან ჯერ კიდევ სამხედრო შეტევის დაწყებამდე დასავლეთის სახელმწიფოები ითხოვდნენ, რომ მომხდარიყო კოსოვოს სტატუსის შეცვლა ისე, რომ ეს უკანასკნელი ყოფილიყო ავტონომიური ერთეული, არა სერბეთის რესპუბლიკის, არამედ თავად იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. საქართველოს მიმართაც ხშირად გაისმის მოთხოვნები, რომ ეს ქვეყანა, კონფლიქტის მოგვარების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გახდეს ორ ან მრავალსუბიექტიანი ფედერაცია თუ კონფედერაცია. იუგოსლავიისა და საქართველოს საერთაშორისო სამართალი აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ მთელ საკუთარ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და კოსოვოს ჩათვლით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნათა დაცვა როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც იუგოსლავიას, საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს დააკისრებდა ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის მიღების ან ამა თუ იმ ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა და შენარჩუნების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე რამდენადაც მორალურად დასაგმობი არ უნდა იყოს იუგოსლავიის მთავრობის მიერ კოსოვოს ავტონომიის გაუქმების ფაქტი, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ არის. (ორახელაშვილი.ა. 2004 გვ 44-55)

იუგოსლავიის სამხედრო შეტევის დაწყებამდე გამართული მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანა სწორედ ტერიტორიული სტატუსის საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდებოდა.

იუგოსლავიის მხრიდან სავსებით გამართლებული იყო იმ შეთანხმებაზე ხელის არმოწერა, რომელიც მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს შეუქმნიდა.

მიუხედავად ამისა იუგოსლავიაზე დაწოლა სწორედ ტერიტორიული საკითხების კუთხით ხდებოდა და ამან მძიმე შედეგები გამოიღო როგორც იუგოსლავიის ისე კოსოვოელი ალბანელების მიმართ. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასაც დიდ პრობლემას სწორედ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დღის წესრიგის ნაწილად ქცევა უქმნის. განიხილება“ფედერაციის“, „კონფედერაციის“, „ორსუბიექტიანი ფედერაციის“, „ასიმეტრიული ფედერაციის“ ვარიანტები, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული საკითხის განხილვა არ უნდა ხდებოდეს არც დიპლომატიური მოლაპარაკებების და არც საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ყოველივე ეს კონფლიქტის გადაწყვეტას მხოლოდ აჭიანურებს და ნაკლებად რეალურს ქმნის.

სეცესიის შესაძლო საფუძვლად იშველიებენ ასევე ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევებს, რომლის მსხვერპლიც არის ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი მოცემულ სახელმწიფოში. არც ერთი სამართლებრივი ნორმა თუ პრინციპი ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევების მსხვერპლი აღმოჩნდა, არსებული სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლებამოსილებას არ აძლევს. მორალური და პოლიტიკური შეხედულებების არსებობის მიუხედავად ასეთი უფლების დამაკანონებელი იურიდიული ნორმა არ არსებობს, შესაბამისად კოსოვოს იუგოსლავიისგან გამოყოფის ტიტულს ამ რეგიონში იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები არ ქმნის.

არასტაბილურობის რისკი იმდენად დიდია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე შეტევას თავსაც კი არიდებს. გაეროს უშიშროების საბჭომ მსგავსი პოზიცია დაიკავა როგორც აფხაზეთის ისე კოსოვოს კონფლიქტის მიმართ. უშიშროების საბჭომ კი დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა. იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა უშიშროების საბჭომ უპირობოდ დაადასტურა შემდეგი რეზოლუციებით: 1198 (1998), 1203 (1998) და 1244 (1999), ეს მოხდა მიუხედავად იმისა რომ გაეროს წესდების მე-7 თავის საფუძველზე მიღებული ამ რეზოლუციების ადრესატი სწორედ იუგოსლავია იყო.

სეცესიის, ანუ ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ ცნობს. როგორც კროუფორდი აცხადებს, საერთაშორისო პრაქტიკა მხარს არ უჭერს სეცესიის უფლებას, ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეების გზით მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. (ორახელაშვილი. ა. 2004 გვ. 44-55)

უშიშროების საბჭოს არც ერთი რეზოლუცია და არც ერთი ხელმოწერილი შეთანხმება არ შეიცავს დებულებას კოსოვოელ ალბანელთა თვითგამორკვევის უფლების, მით უმეტეს მათი სეცესიის შესახებ. მიუხედავად ამისა, კოსოვოს იუგოსლავიისგან გამოყოფა გარკვეულ პოლიტიკური წრეების დღის წესრიგში მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. სომხეთი როგორც ვიცით, ცდილობს რომ კოსოვოს იუგოსლავიისაგან შესაძლო გამოყოფა თავის ინტერესებში გამოიყენოს. თუმცა, სომხეთისნაირ პატარა სახელმწიფოს ბალკანეთის რეგიონში დიდი დაინტერესება ვერ ექნება. მიუხედავად ამისა, კოსოვოს შესაძლო სეცესია შექმნიდა აზერბაიჯანიდან მთიანი ყარაბაღის გამოყოფისთვის სახარბიელო პრეცედენტს და ეს სომხეთის მისწრაფებებს წაადგებოდა.

ასევე, პოლიტიკური თამაშის შედეგად, სეპარატისტებისთვის მხარდაჭერად კოსოვოსა თუ აფხაზეთში გამოიწვია აფხაზებისა და ალბანელების ნაციონალისტური თუ სეცესიონისტური მისწრაფებების გაზრდა, მათი დაიმედება რუსეთიდან თუ ნატოდან მხარდაჭერის შესაძლებლობაში, რამაც „ჯინის ბოთლიდან გამოშვების“ ეფექტი იქონია. მიუხედავად იმისა რომ აფხაზ და ალბანელ სეპარატისტებს შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში მოაკლდეთ გარედან მხარდაჭერა, მათი სეპარატისტული მისწრაფებები არ გაქრება და მეტიც ამ რეგიონებში ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირების(სისხლისღვრის ჩათვლით) მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

კოსოვოს კონფლიქტის დაწყებისთანავე ნათელი იყო, რომ ეს არ იყო უბრალო შეიარაღებული კონფლიქტი, ან უბრალოდ ეთნიკური კონფლიქტი, ან უბრალოდ ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სიტუაცია, თუნდაც ისეთი რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას დაემუქრებოდა.

იყო და არის სიტუაცია, რომლის ერთ-ერთი მხარე მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოსგან გამოყოფას ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი დარღვევის ხარჯზე. ალბანელი სეპარატისტები დასაწყისიდანვე კოსოვოს მხარის დამოუკიდებლობის საკითხში უკომპრომისო პოზიციაზე იდგნენ და შემდგომ მოლაპარაკებებშიც ეს დადასტურდა. თითქოს წინა პლანზე გამოვიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხი და ტერიტორიული საკითხები უკანა პლანზე დარჩა, თუმცა ტერიტორიული საკითხი არ გამქრალა არც დიდი სახელმწიფოების, არც საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგიდან.

კონფლიქტში ჩართული ნებისმიერი აქტორის უპირველესი მისწრაფება სწორედ ტერიტორიულ საკითხებში მდგომარეობდა. იუგოსლავია თავის ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა; ალბანელები იუგოსლავიისაგან გამოყოფაზე მუშაობდნენ, ასევე გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ნატო-ს მთავარი პოლიტიკური მიზანი ადამიანის უფლებათა დაცვა იყო და რომ ამ ორგანიზაციის კონფლიქტში ჩართვისას არ გააჩნდა ტერიტორიული პრობლემების მისეული ხედვა ან პროექტის ან შესაძლო ტერიტორიული შედეგების რეალისტურად აღქმის დონეზე.

ნატოს მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და იუგოსლავიის მიმართ წაყენებულ ულტიმატუმებში ფაქტიურად არსად ფიგურირებს იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის დადასტურება. რაოდენ ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს განცხადება (მე-13 პუნქტი) სპეციალურ აქცენტს აკეთებს ალბანეთისა და მაკედონიის ტერიტორიულ მთლიანობაზე, ხოლო მითითებას სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე არ შეიცავს. ამ მხრივ ნატო-ს მიერ არჩეული ტაქტიკა არ დაემთხვა გაერო-ს მიერ აღებულ კურსს, რომელიც იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უჭერდა მხარს. (ორახელაშვილი. ა. 2004 გვ 44-55)

ნატოს აქციის მხარდაჭერის გამართლება საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ მოხდა გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორცაა მაგალითად ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაცვა. იმის არგანჭვრეტა თუ რა მოცულობით დააზიანებდა ნატო-ს აქცია სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას, უტოლდება იმის შეუფასებლობას, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ შეერთებული შტატებისა და

ნატო-ს საგარეო პოლიტიკურ ტრადიციაში, სამწუხაროდ სწორედ ამის იგნორირებას ჰქონდა ადგილი საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ. ყოველივე ეს ერთმანეთისგან პარალელურად იჩენს თავს ორივე კონფლიქტში, როცა ეხება სეცესიონისტური მისწრაფებების რეალიზაციის მცდელობებს არჩევნების ჩატარების გზით. აფხაზეთში ჩატარებული ხელისუფლების არჩევნები საერთაშორისო თანამეგობრობამ არ ცნო. ამისგან განსხვავებით კოსოვოში ჩატარებული არჩევნები გაეროს მხარდაჭერითა და ზედამხედველობით ჩატარდა.

შემდეგი საკითხი რომელსაც განვიხილავთ არის ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა მოცემულ რეგიონში. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივისთვის მნიშვნელობა აქვს რუსეთსა და დასავლეთს, კერძოდ შეერთებულ შტატებს შორის კავკასიაში დაპირისპირების შესაძლო შედეგებს. ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ აფხაზეთის დაბრუნება აძლიერებს საქართველოს, მკვეთრად ზრდის საქართველოს როლს კავკასიაში. აქედან გამომდინარე ნატო და შეერთებული შტატები საქართველოს მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ქმედით დახმარებას გაუწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათთვის სასურველი იქნება კავკასიაში საქართველოს გავლენის ზრდა.

კოსოვოს სეცესიონისტური მისწრაფებებისადმი შეერთებული შტატების დამოკიდებულება და ამის შედეგად მიღწეული კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტა უდავოდ იქონიებს გავლენას, აფხაზეთის პრობლემისადმი შეერთებული შტატების მიდგომაზე, ეს პროცესი უდავოდ დაამკვიდრეს გარკვეულ სტანდარტებს შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

კოსოვოს კონფლიქტში მსხვერპლი გახდა ალბანელი უმცირესობა, აფხაზეთისაში კი ქართული მოსახლეობა. კოსოვოში მდებარე სერბული ეკლესია-მონასტრები უსაფრთხოების გარანტიად KFOR-ის ჯარების გვევლინება, სერბეთის მართმადიდებლური ეკლესია კოსოვოში მოქმედებს და პატრიარქსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მხარის მონახულება. აფხაზეთში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრების უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს და ბევრი მათგანი დარბევასა და გაძარცვას დაექვემდებარა.

როგორც ზემოთ დავინახეთ საერთაშორისო საზოგადოება გაეროსა და ეუთოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში სისტემატურად ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას.

დასკვნა

კოსოვო 2019 წლის 17 თებერვალს 11 წლის გახდა. ევროპის ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო წარმონაქმნი გაეროს მხოლოდ 112 წევრ ქვეყანას ჰყავს აღიარებული, მათ შორის არ შედის უშიშროების საბჭოს მუდმივი 2 წევრი (რუსეთი და ჩინეთი) და ევროკავშირის წევრი ხუთი ქვეყანა(ესპანეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, სლოვაკეთი და რუმინეთი).

კოსოვოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დეკადის გასვლის შემდეგ, კოსოვო არასრულყოფილი საერთაშორისო აღიარების გახდა, მთელ რიგ სხვა გამოწვევებს აწყდება, კოსოვო ევროპის კონტინენტზე მოლდოვის შემდეგ ყველაზე ღარიბ ქვეყნად რჩება.

კოსოვოს მთავარი შიდა პოლიტიკური გამოწვევა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი მიტროვიცა რჩება, რომელიც ძირითადად სერბული უმცირესობებითაა დასახლებული. მიტროვიცას მოსახლეობა დღემდე არ აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ჯერ კიდევ იყენებს სერბულ დინარს და კირილიცას დამწერლობას. ეს არის ადგილი, სადაც ხშირად ხდება ინციდენტები სერბებსა და ალბანელ კოსოვარებს შორის. მიტროვიცაში არსებობს ალტერნატიული ინსტიტუტები-სკოლები, საავადმყოფოები, სასამართლოები, რომლებსაც ოფიციალური ბელგრადი აფინანსებს და საკუთარ მმართველობას არაფორმალურად ავრცელებს ამ ტერიტორიაზე.

ბოლო პერიოდში ბელგრადიდან გაისმის შეთავაზებები, რომ კოსოვოს ტერიტორია გადაიხედოს და მისი საზღვრები შეიცვალოს, მაგრამ ოფიციალურ პრიშტინასთან ერთად საერთაშორისო საზოგადოება ამ შეთავაზებებზე უარს ამბობს.

კოსოვარებს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის ყველაზე გამოკვეთილი ევროპული მისწრაფებები გააჩნიათ, მაგრამ რეალობა საწინააღმდეგოა-კოსოვოს ყველაზე ნაკლები შანსი აქვს ევროპული გაერთიანების წევრად გახდომისა. მიუხედავად იმისა რომ 2013 წლის ბრიუსელის შეთანხმებამ ბელგრადსა და პრიშტინას შორის კოსოვოს უფლება დაუტოვა სერბული წინააღმდეგობის გარეშე გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, კოსოვოს თვითონ ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის არაღიარება მის ევროინტეგრაციის შანსებს მნიშვნელოვნად

ამცირებს. პრიშტინას ორგანიზაციის წევრობაზე აპლიკაციაც ჯერ არ შეუტანია და შესაბამისად არც გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ფლობს.

სერბეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას დღემდე არ აღიარებს, სერბებისთვის კოსოვოს არის სერბეთის ნაწილი, ალბანელები კი ფიქრობენ რომ ისინი მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ, შესაბამისად აღქმა არის განსვავებული, ასევე სერბულ და კოსოვარულ ნაციონალიზმებსაც განსხვავებული ნიშნები ახასიათებთ. სწორედ ამიტომ კოსოვოს კონფლიქტი იყო გარდაუვალი რასაც საერთო ჯამში მოჰყვა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება რომელიც უკვე აღიარებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნისგან.

სერბები თვლიან რომ ეს ტერიტორია სერბეთის „იერუსალიმია“, სადაც რამდენიმე ისტორიული სერბული ქრისტიანული მონასტერია. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა კოსოვარები დამოუკიდებლობის მოპოვებას არ ნანობენ და საკუთარი მონაპოვრით ამაყობენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები:

1. ალექსიძე ლ. (2004) “საქართველო და საერთაშორისო სამართალი”.
2. Bieber. F. Daskalovski. Z.(2003) “Understanding the war in Kosovo”- Frank Cass Publishers.
3. Capussela. A.L.(2015) “State Building in Kosovo: Democracy, Corruption, and the EU in Balkans”.
4. Drapac.V.(2010) “Constructing Yugoslavia a transnational history”-Red Globe Press.
5. Elsie.R. (2009)-“The Battle of Kosovo 1389: an Albanian epic”- NYU press
6. Hosmer. S.(2001) “The conflict over Kosovo”- Rand Corporation.
7. Ignatieff. M.-(2001) “Virtual War”.-NYU press
8. Judah.T.(2008) “Kosovo: What everyone needs to know”- Oxford University Press.
9. Judah. T.(2000) “Kosovo: War and revenge”- Yale University Press.
10. Lampe J.(1996) “Yugoslavia as history, twice there was a country”- Cambridge University Press.
11. Malcolm. N.(1998) “ Kosovo: A short history”- University press New York
12. Mertus J.A.(1999) Kosovo-“How myths and truths started a war”-University of California Press.
13. Mcallester. M. (2001) “Beyond the Mountains of the damned, the war inside Kosovo”.-NYU press.
14. Perritt. H.H. (2010) “Kosovo Liberation Army, the inside story of the insurgency” – University of Illinois Press.
15. Phillips.D.L. (2012) “ Liberating Kosovo: Coercive Diplomacy and U.S. intervention.- MIT Press.
16. Sell. L.(2002) “Slobodan Milosevic and the destruction of Yugoslavia”- Duke University press.
17. Vickers M. (1998) “Between Serb and Albanian: A history of Kosovo”.

ინტერნეტ რესურსები:

1. Anderson D.(1995) “The collapse of Yugoslavia:background and summary”.
2. Biserko S.(2017) “Yugoslavia from a historical perspective-Helsinki Commettee.”
3. Biserko.S. “Yugoslavia’s implosion”.-The Norwegian Helsinki Committee.
4. Bekaj A.R. “The KLA and the Kosovo War”-Berghof Conflict Research.
5. Fritz J.E.(2018) “Stability operations in Kosovo 1999-2000 a case study”.
6. Gallis .P.(1999) “Kosovo: lesoons learned from operation aliied force.”
7. “The Kosovo report”-Oxford University Press.
8. Posen B.(2000) “The war for Kosovo-Serbia’s Political Military Strategy”- The Mit Press.
9. Wendtz. L.(2002) “ Lesoons from Kosovo”-CCRP publication Series.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Nationalism and Ethnicity Studies

Koghua Tamta

Nationalist Roots of Kosovo Conflict

The thesis is submitted to gain the academic degree in Nationalism and ethnicity
studies

Supervisor Prof.: Davitashvili Zurab

Tbilisi

2019